



ცაგერის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი
პრიორიტეტების დოკუმენტი

2018 წელი


შინაარსი

1. ზოგადი საპასპორტო მონაცემები	2
2. მუნიციპალიტეტისეკონომიკა	5
2.1 სოფლის მეურნეობა.....	5
2.2 მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა.....	10
2.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო.....	12
3. მუნიციპალიტეტისინფრასტრუქტურა.....	14
3.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა.....	14
3.2. ტურისტულიდაგასართობინფრასტრუქტურა.....	18
4. ჯანდაცვადასოციალურიმდგომარეობა.....	19
4.1 ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა.....	19
4.2. სოციალურიმომსახურეობა.....	20
5. განათლება, კულტურადასპორტი.....	23
5.1 განათლებაზეხელმისაწვდომობისმდგომარეობა.....	23
5.2 კულტურისა და სპორტის სერვისები.....	24
6. გარემოსდაცვა	25
7.ხელისუფლება.....	27
8. SWOT ანალიზი.....	29
9. მუნიციპალიტეტისხედვადამისია.....	34
10. მუნიციპალიტეტისსაშუალოვადიანიპრიორიტეტები	36
დანართები	40

1. ზოგადი საპასპორტო მონაცემები

გეოგრაფიული მდებარეობა

ცაგერის მუნიციპალიტეტი მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ლენტეხის მუნიციპალიტეტი, დასვლეთიდან - მარტვილის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით - წყალტუბოსა და ხონის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთით - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის ფართობია 755,4 კმ². მუნიციპალიტეტის სიმაღლე ზღვის დონიდან საშუალოდ 540 მ-ია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ცაგერი. ადმინისტრაციული ცენტრის დაშორება დედაქალაქთან 325 კმ-ია.



მუნიციპალიტეტში არ არის რკინიგზა. უახლოეს სარკინიგზო სადგურთან (ქ. წყალტუბო) დაშორება შეადგენს 55კმ-ს, მუნიციპალიტეტს სახელმწიფო საზღვრებთან შეხება არ აქვს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის 19 ტერიტორიული ერთეული (იხ.დანართი 1.), რომელშიც შედის ქ. ცაგერი და 58 სასოფლო ტიპის დასახლება. ცაგერის მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა დასახლებას აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი.

ბუნებრივ-კლიმატური პირობები

ცაგერის მუნიციპალიტეტის კლიმატი ნოტიოა, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 15C0, შესაძლებელი მაქსიმუმია – 40C0, მინიმუმი 12 C0. ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 1,020 მმ-ია. მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია მიეკუთვნება მთიან ზონას და ხასიათდება რთული ლანდშაფტურ-კლიმატური პირობებით, რის გამოც იგი არათანაბრადაა ათვისებული. დასახლებული პუნქტები ძირითადად განლაგებულია მდინარეთა ხეობებში.

წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები

ცაგერის მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით და წიაღისეულით. მდ. ჯონოულის და მდ. ლაჯანურის ხეობები შეიძლება გამოყენებული იქნას სამონადირეო ტურიზმის, მეთევზეობის, ცხენოსნობის და ნადირობის თვალსაზრისით. მდ. ჯონოულის აუზის ფართობი შეადგენს 114 კმ²-ს, მდინარეში არის თევზი (კალმახი) და არის შესაძლებლობა მოეწყოს მეთევზეობის ფერმული მეურნეობები. მდ. ლაჯანურის ხეობის ფართობი შეადგენს 295 კმ²-ს.

ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფ. დოღურაშში (გაბრო-დიაბაზი)შესწავლილი და მომზადებულია საექსპლოატაციოდ, მოსაპირკეთებელი ქვის მარაგი 1მლნ. კუბია, ლიცენზია გაცემულია, მაგრამ მოპოვება არ დაწყებულა. აგრეთვე, სოფ. ოყურეშში არის 2,5 მილიონი კუბური მეტრი დიაბაზოვის პორფირატის მარაგი.სოფ. მახურასთან ტუფობრექჩის დაზვერული საბადო. საკმაოდ ახლოსაა ბარიტის საბადო, მუნიციპალიტეტში მოიპოვება სამშენებლო ინერტული მასალები (ქვა-ღორღი, სამშენებლო კირქვები), მცირე რაოდენობითაა სპილენძი, თუთია,


ამ ეტაპისათვის რაიონში ძირითადად მიმდინარეობს ინერტული მასალების (ქვა-ღორღი) მოპოვება -გადამუშავება. მოპოვებული ქვა ღორღი იმტვრევა, მუშავდება და გამოიყენება გზების ასფალტირებისა და სამშენებლო ბლოკების ჩამოსასხმელად. რაც შეეხება დიაბაზოვის პორფირატისა და გაბრო-დიაბაზის საბადოებს აქ მოპოვებული ქვა ადვილად იხერხება, პრიალდება და წარმოადგენს მაღალი ხარისხის მოსაპირკეთებელ მასალას მშენებლობისთვის.

დემოგრაფია

ცაგერის მუნიციპალიტეტში მძიმე დემოგრაფიული ვითარებაა, დღეის მდგომარეობით მაღალია სიკვდილიანობის მაჩვენებელი და დაბალია შობადობა.მნიშვნელოვნად გაზრდილია შიდა და გარე მიგრაციის დონე, რაც გამოწვეულია უმუშევრობის მაღალი დონით, რთული საყოფაცხოვრებო პირობებით, გახშირებული სტიქიური მოვლენებით (მეწყერი, წყალდიდობა), წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ბაზრის არქონით. შიდა მიგრაციის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია სოფლებიდან ქალაქისაკენ საგანმანათლებლო მოტივით ახალგაზრდების გადაადგილება და სამუშაო ადგილების არარსებობის გამო მისი მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ ძიება. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს მოსახლეობის საზღვარგარეთ გადინებას სამუშაო ადგილების ძიების მიზნით.

2018 წლის მონაცემებით ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 10 240 ადამიანს (იხ. მოსახლეობის განაწილება სქესობრივ ჭრილში - დანართი 2). აქედან ქალაქად ცხოვრობს 1292, ხოლო სოფლად 8942 ადამიანი. 2018 წელს 2006 წელთან შედარებით ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შემცირებულია 37%-ით.

დიაგრამა N1 - ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა(ათასი კაცი)



მუნიციპალიტეტი	წელი	0-6წ	6-18წ	18-60წ	60წელს ზემოთ
ცაგერი	2016წ	336	961	5383	3707
ცაგერი	2017წ	398	912	5256	3742
ცაგერი	2018წ	352	992	5243	3653

2018 წლის მონაცემებით 2015 წელთან შედარებით შრომითი რესურსების რაოდენობა მუნიციპალიტეტში კვლავ ხასიათდება კლების ტენდენციით, რაც გამოწვეულია კომპლექსურად რამდენიმე ფაქტორით: სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით, შრომითი რესურსის გაზრდილი მიგრაციით. შედარებით სტაბილურობით ხასიათდება საბიუჯეტო სისტემაში დასაქმებულთა რიცხვი, სადაც 2017 წლის მონაცემებით შეინიშნება ზრდა დაახლოებით 27%-ით (დიაგრამა N3).

ცხრილი N2 - დასაქმების მაჩვენებელი საჯარო და კერძო სექტორში 2016-2018წლების მიხედვით.

მუნიციპალიტეტი	წელი	საჯარო სექტორი	კერძო
ცაგერი	2016წ	2000	4300
ცაგერი	2017წ	2003	4280
ცაგერი	2018წ	1850	4200

დასაქმების ხელშეწყობისათვის ძირითადი მასტიმულირებელი ფაქტორი არის ახლახან მიღებული მთის კანონი, რომელიც მნიშვნელოვან შეღავათებს აწესებს ცაგერის მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმოებისათვის, რაც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას. ცაგერის მუნიციპალიტეტში ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს აქვს მაღალმთიანის სტატუსი მინიჭებული.

2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

ცაგერის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ტრადიციულად დამოკიდებული იყო და არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და განვითარებაზე. რაიონში მოქმედებდა 4 ყურძნის გადამამუშავებელი ქარხანა, სასურსათო კომბინატი, სადაც წლიურად ხდებოდა 4-5 ათასი ტონა თესლეული და კურკოვანი ხილის გადამამუშავება, მზადდებოდა ნახევარფაბრიკატები, წველების და ექსტრაქტების სახით. ფართოდ იყო წარმოდგენილი მეცხოველეობა, მარცვლეული კულტურების პროდუქციის წარმოება.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებაზე დადებით და მასტიმულირებელ გავლენას ახდენდა რამდენიმე ათეული მცირე და საშუალო სიმძლავრის სამრეწველო მოპოვებითი გადამამუშავებელი საწარმოები.

უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე ფუნქციონირება შეწყვიტა ოთხივე ყურძნის გადამამუშავებელმა ქარხანამ, გაუქმდა სასურსათო კომბინატი, მწყობრიდან გამოვიდა თითქმის ყველა სამრეწველო ობიექტი, კერძოდ ადგილმრეწველობის კომბინატი, ხისა და ქვის სახერხი საამქროები, ნულზე დავიდა აბრეშუმის წარმოება. ყველა ამ ობიექტებში იმ პერიოდისათვის დასაქმებული იყო 730 კაცი.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარება მომავალშიც უნდა იქნას ორიენტირებული ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდასა და გადამამუშავებაზე, ამისათვის იდგმება პირველი ნაბიჯები. 2015 წელს სოფ.დოღურაში გაიხსნა და მოქმედებს ყურძნის გადამამუშავებელი მინი საწარმო, მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში გაიხსნა 30-საოჯახო მარანი. სოფ.წიფერჩში მოეწყო თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვილი ცხოველთა სასაკლაო. უკვე ორი წელია მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ველური ხილის დამზადება. გაიზარდა თაფლის წარმოება.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებისათვის სამომავლოდ აუცილებელია აშენდეს ორი ყურძნის გადამამუშავებელი ქარხანა, ხილისა და კენკრის გადამამუშავებელი საწარმო. მიღებისა და გადამამუშავებელი საწარმო, უნდა განვითარდეს ხე-ტყის, ბუნებრივი რესურსების გადამამუშავებელი საწარმოები.

ცაგერის მუნიციპალიტეტში 2017 წლის მონაცემებით მთლიანი შიგა პროდუქტი შეადგენს 23,5 მილიონ ლარს. მუნიციპალიტეტის მშპ-ის 11%-მდე შეადგენს საამშენებლო სამუშაოები, 5%-ს შეადგენს სამთო-მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობა, ხოლო ვაჭრობა და მომსახურეობა - 28%-ს. დანარჩენი 56% პროცენტი მოდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე და სხვა სექტორებზე.

აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს 2018 წლის ნოემბრის მაჩვენებლებს, სავარაუდოდ მონაცემებმა წლის ბოლოსათვის შეიძლება განიცადოს გარკვეული ცვლილება.

2.1 სოფლის მეურნეობა


მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ძირითადი მაპროფილებელი პროდუქტებია: ყურძენი, ხილი (კურკოვანი და თესლოვანი), მარცვლეული კულტურები (სიმინდი, ლობიო), თაფლი, ხორცი, რძე. მცირე რაოდენობითაა ბოსტნეული კულტურები ,კომბოსტო,ჭარხალი, სტაფილო,,კიტრი,კამიდორი.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა სახეობის მიხედვით სულ 14,864 ჰა-ს შეადგენს; მათ შორის:

- სახნავი-2100 ჰა;
- მრავალწლიანი ნარგავები -1,120ჰა;

- სათიბი -1,060ჰა;
- სამოვრები -9973 ჰა.

დიაგრამა 2.მიწის გამოყენების განაწილება დანიშნულების მიხედვით



მემცენარეობის პრიორიტეტული მიმართულებაა მევენახეობა, სადაც ყველა ყურძნის ჯიშის მოსავალმა 2018 წელს შეადგინა 2161 ტონა, აქედან ცოლიკაური - 1400 ტონა 424 ჰა-ზე, ოჯალეში - 200 ტონა, უსახელაური - 55ტონა, ალექსანდროული - 7 ტონა და სხვა ჯიშში - 50ტონა.

ერთწლიან კულტურებში ძირითადი ადგილი უკავია სიმინდისა და ლობიოს წარმოებას, რისი მოსავლიანობაც წლებანდელი მდგომარეობით დაბალია, რაც გამოწვეულია კლიმატური პირობებით. 372,5 ჰა-ზე სიმინდის მოსავლიანობამ შეადგინა 1.8 ტონა, ხოლო 372,5 ჰა-ზე ლობიოს მოსავლიანობამ - 0.7 ტონა. კარტოფილის მოსავლიანობამ 1,5 ჰა-ზე შეადგინა 8 ტ, გოგრის მოსავლიანობამ 16, 7 ჰა-ზე 45 ტ, პომიდორის მოსავლიანობამ 60 ჰა-ზე შეადგინა 300 ტ, კიტრის მოსავლიანობამ 15, ჰა -ზე 120 ტ. სხვა დანარჩენი ბოსტნეულის მოსავლიანობამ 40 ჰა-ზე შეადგინა 150 ტ.

მუნიციპალიტეტში არ მოქმედებს მსხვილი ფერმერული მეურნეობები, ასევე, მწირია ფერმერთა კოოპერატივები ან/და სხვა სახის გაერთიანებები. ფერმერთა შორის ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის დონე ძალზე დაბალია. აგერთვე, საჭიროა სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა,სახეზეა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა (აგრონომები,ვეტერინარები) მწვავე ნაკლებობა.

მეცხოველეობა. როგორც დიაგრამა №2 აჩვენებს სათიბი და საძოვარი ფართობების ერთობლივი რაოდენობა მთლიანი ფართობის 76%-ს შეადგენს, ამასთან ერთად, სახნავი ფართობებიდან (2 341 ჰა) მიღებული ჩალა და სხვა საკვები, ხაზს უსვამს მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის განვითარებისათვის სერიოზული ბაზის არსებობაზე. ეს ფართობი სრულიად საკმარისია რომ გამოიკვებოს 10-12 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. 2018 წლისათვის მუნიციპალიტეტში იყო 6500 მდე მსხვილფეხა პირუტყვი და 500-მდე თხა/ცხვარი, რაც არსებული რესურსების დაახლოებით 50%-ს ითვისებს. მეცხოველეობის განვითარებას ხელს უშლის არასელექციური პირუტყვი და ვეტერინარული მომსახურების დაბალი დონე, ასევე პრობლემატურია მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავება, რძის პროდუქტების გადამამუშავება უმთავრესად კუსტარულად ხდება და რეალიზდება ქ. ქუთაისის აგრარულ ბაზარში. მუნიციპალიტეტში მოქმედებს 10-12 მსხვილი ფერმერული მეურნეობება, რომლებიც ფლობენ 20 -დან -25 -მდე სულ ფურს. ასევე შეღავათიანი აგროტექნიკის გამოყენებით შეიქმნა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა ,მეხორცული მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში ამ მხრივ, იგრძნობა მნიშვნელოვანი პროგრესი. სოფ.ლასურიაში შეიქმნა კოოპერატივი „ჭრელა“, რომელიც მეცხოველეობის მიმართულებით მუშაობს და დღეისათვის ყავთ 218 სული ფური. კოოპერატივი აშენებს რძის მიძღვრულ გადამამუშავებელ საწარმოს სადაც კერძო ფერმერებისაგან ჩაიბარებენ რძეს. ასევე სოფ. გვესოში შეიქმნა „გვესოს ფერმა“ რომელიც მუშაობს მეთხევების განვითარებით. აქვე შენდება თხის რძის გადამამუშავებელი საწარმო რომელიც ხორციელდება სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს პროგრამით.

მევენახეობა. ცაგერის მუნიციპალიტეტში მევენახეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ვაზი გაშენებულია 590 ჰა-ზე (განაშენიანება დაგეგმილია 15 ჰა-ზე). მოსავლის საერთო მოცულობა შეადგენს 1700 ტონას, მათ შორის; „უსახელოური“ - 50 ტონა (მომავალში 150 ტ-მდე), „ოჯალეში“ -200 ტონა, „ცოლიკაური“ - 1400 ტ., სხვა ჯიშები - 50ტ. აღსანიშნავია, რომ სამოცზე მეტი ვაზის ჯიშია დამოწმებული. ამდენად, მევენახეობის თვალსაზრისით მუნიციპალიტეტი საქართველოს ერთ-ერთ თვალსაჩინო კუთხეს წარმოადგენს. ლეჩხუმში დამოწმებული უნიკალური ჯიშების გადარჩენის მიზნით სოფ. ალვში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა 0,6 ჰა-ზე სადემონსტრაციო ვენახის ნაკვეთი სადაც გაშენებულია 22-ჯიშის ვაზის ნერგი.

დღეისათვის ცაგერში ვაზის ჯიშთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ცოლიკაური, ოჯალეში, უსახელოური, რისგანაც მზადდება საერთაშორისო დეგუსტაციებზე მრავალჯერ გამარჯვებული სამარკო ღვინოები: „ტვიში“, „ოჯალეში“, „უსახელოური“. აღნიშნული ჯიშები მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიკროკლიმატში ამჟღავნებს უნიკალურ თვისებებს. მიუხედავად ამისა, საოჯახო მეურნეობებში მიღებული პროდუქციის რეალიზაცია.

მეხილეობა. მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ჯიშის მაღალხარისხიანი თესლოვანი და კურკოვანი ხილის მოსავლით. 1980-იან წლებში საშუალოდ მუნიციპალიტეტში იწარმოებოდა 7-8 ათასი ტონა თესლეული და კურკოვანი ხილი. ქ. ცაგერში მოქმედებდა ხილის გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც მზადდებოდა მაღალხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა წვენები, წვენის ექსტრაქტები, ჯემები, კომპოტები.

დღეისათვის ხილის მასიური ბაღები შემცირებულია და თითქმის არ გვხვდება. ხილი გამოხატულია გაბნეული ნარგავების სახით მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებში და ყოფილი საკოლმეურნეო ბაღების ტერიტორიებზე. მიუხედავად ამისა ხილის წარმოებამ 2018წელს შეადგინა 1755ტ. უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა მუნიციპალიტეტში თხილის პლანტაციების ფართობების ზრდა. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს თხილის მოსავალმა შეადგინა 20 ტონა ხოლო კაკლის მოსავლიანობა შეადგინა 50ტ. ხურმის მოსავლიანობა-80ტ.

მეფუტკრეობა თითქმის მთელს მუნიციპალიტეტშია განვითარებული, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში დაკავდა მოსახლეობა ფუტკრის მოშენებით. დღეის მდგომარეობით მოშენებულია 4,200 ოჯახი ფუტკარი (წარმოებული პროდუქცია 18 ტ.), მომავალში იგეგმება 5,000 ოჯახის მოშენება, ხოლო პროდუქციის წარმოება მიაღწევს 150 ტ-ს. ამის გარანტიას იძლევა ის ფაქტი რომ ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტში შეიქმნა მეფუტკრეობის მიმართულებით 10 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი რომლებიც ჩართული არიან სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში. მუნიციპალიტეტში წარმოებული თაფლი გამორჩეულია გემური და სამკურნალო თვისებებით, რაც გამოწვეულია ხე-მცენარეებისა და ყვავილოვანი მცენარეების მრავალფეროვნებით.

მეთევზეობა. ცაგერის მუნიციპალიტეტში ჩამოედინება მდინარეები “ჯონოული“ (სიგრძე 20 კმ) და “ლაჯანური“ (სიგრძე 29 კმ.), რომლებშიც დიდი რაოდენობით კალმახიარის. ამ მდინარეების წყალი თავისი შემადგენლობით საუკეთესოა საკალმახე მეურნეობის განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტში გაკეთებულია და ამჟამად ფუნქციონირებს რამდენიმე მცირე ზომის პრიმიტიული საკალმახე მეურნეობა. აღნიშნულ საკალმახე მეურნეობებში გაზრდილი კალმახი ხასიათდება მაღალი გემოვნური თვისებებით და მოთხოვნადია ბაზარზე. დღეის მდგომარეობით ცისარტყელა კალმახის წარმოება 55 ტ-მდეა, ხოლო სხვა სახეობის თევზი (კობრი,სქელშუბლა) 20 ტ-მდე.

მუნიციპალიტეტში ტრადიციულად სამელიორაციო სისტემა ჩამოყალიბებული არ იყო და ის საჭიროებას არც წარმოადგენდა, უკანასკნელ პერიოდში კლიმატის გლობალური ცვლილების შედაგად გაჩნდა საირიგაციო სისტემის შექმნის საჭიროება განსაკუთრებით ბარის ზონაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესში. განსაკუთრებით მიწების რეგისტრაციის კუთხით, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის ჩამოყალიბების მხრივ. ადგილობრივი

ხელისუფლების მონაწილეობა საჭიროა საინფორმაციო ბაზის თუ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის შექმნის ხელშეწყობაში.

მუნიციპალიტეტის აგრარული სექტორის პრობლემები და გამოწვევები

მუნიციპალიტეტში დარგში არსებული პრობლემებიდან აღსანიშნავია:

- დაურეგისტრირებელი მიწის ფართობები და მიწის კადასტრის მოძველებული მონაცემები, რომელთა გამოც ვერ ხერხდება არსებულ რეალობაზე მორგებული სამეურნეო დარგების განვითარების ხელშეწყობა.
- ნაკვეთების დაბალმოსავლიანობა, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზანმიმართული ღონისძიებების არარსებობით (ეროზიების საწინააღმდეგო ღონისძიებები, ნიადაგის ანალიზი,) და მეორეს მხრივ საირიგაციო სისტემების არ არსებობის გამო, განსაკუთრებით ბარის სოფლებში.
- ნაკვეთების დაბალმოსავლიანობაზე მოქმედებს ასევე ხარისხიან და სელექციურ სათელე მასალებზე ხელმიუწვდომლობა.
- აღსანიშნავია მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების დაბალი ხარისხი
- მცირე მექანიზაციის საშუალებების დეფიციტის გამო სახნავი ფართობების თითქმის 1/3 დაუმუშავებელი რჩება .
- მეცხოველეობის განვითარებას ხელს უშლის არასელექციური პირუტყვი და ვეტერინარული მომსახურეობის დაბალი დონე, ასევე პრობლემატურია მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავება, რის გამოც დაბალია მოსახლეობის მეცხოველეობის სფეროში ჩართვის მოტივაცია.
- გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მინციპალიტეტში წარმოებული ნედლეულის სრულად ათვისება-გადამამუშავებას, პროდუქციის დიდი ნაწილი ნედლეულის სახით გაედინება მუნიციპალიტეტიდან და გადამამუშავდება სხვა მუნიციპალიტეტში, ან არაოფიციალურად იყიდება გადამყიდველებზე.
- მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში 3 სხვადასხვა ტიპის უნიკალური ღვინო მზადდება „ტვიშის ცოლიკოური“ „უსახელოური“ და „ოჯალეში“ მოსახლეობისათვის პრობლემატურია წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, რაც გამოწვეულია ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირით, რომლებიც უზრუნველყოფენ სრულ ტექნოლოგიურ ციკლს და საუკეთესო ხარისხის ღვინოს მიაწოდებენ ბაზარს.
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია, ან ვერ ანაზღაურებს გაწეულ ხარჯებს.

მუნიციპალიტეტში დარგში არსებული გამოწვევებიდან აღსანიშნავია:

- მიწის საკადასტრო მონაცემების განახლება, მასზე საკუთრების უფლების განსაზღვრა და კატეგორიზაცია მნიშვნელობის მიხედვით ნიადაგის ტიპის და პერსპექტიული დარგის შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტს შეადგინოს და განახორციელოს სოფლის მეურნეობის მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმა,
- საირიგაციო სისტემის შექმნა ცხენის წყალზე თვითდინებით, რაც შეძლებს გაასარწყავიანოს ჩხუტელის, ქვედა ცაგერის, ჭალისთავის, ლასურიაშის, დეხვირის, მახაშის, აღვის 300ჰ. მაღალი ნაყოფიერი ჭალის სასოფლო-სამეურნეო სავარგული. აღნიშნული მნიშვნელოვნად გაზრდის მოსავლიანობას და ამ ტერიტორიის მფლობელი ფერმერები დამოკიდებული არ იქნებიან კლიმატურ პირობებზე.
- ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის შექმნა და სრულფასოვანი დატვირთვა ხელს შეუწყობს მოსახლეობას ზუსტად განსაზღვრონ მიწის შემადგენლობა, სწორად დაგეგმონ ოპტიმალური კულტურა და მიზანმიმართული ღონისძიებებით სწორად არეგულირონ ნიადაგის ნაყოფიერება კონკრეტული დარგის განვითარებისათვის
- ფერმერებისათვის მცირე მექანიზაციის საშუალებებზე ხელმისაწვდომობა გაზრდის დამუშავებული სავარგულების რაოდენობას, რომლის კოეფიციენტი 2014 წლისათვის მხოლოდ 54% იყო.
- მევენახეობაში ადგილწარმოშობის სერტიფიცირების სისტემის შექმნა გაზრდის ინვესტორების მოტივაციას მუნიციპალიტეტის ფარგლებში ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნისათვის.
- მუნიციპალიტეტში ვეტერინარული მომსახურეობის და ხელოვნური განაყოფიერების ეფექტური სისტემის შექმნა ხელს შეუწყობს მეცხოველეობის დარგში პირუტყვის რაოდენობის გაზრდის გარეშე მნიშვნელოვნად გაზარდოს წარმოებული პროდუქციის რაოდენობა და შემოსავალი. ერთის მხრივ ვეტერინარული მომსახურეობა დაეხმარება ფერმერებს იყოლიონ ჯანმრთელი პირუტყვი და აწარმოონ ჯანსაღი პროდუქცია, ხოლო ხელოვნური განაყოფიერების მექანიზმი უზრუნველყოფს პირუტყვის სელექციურ გადახალისებას და პროდუქტიულობის ზრდას. მეორეს მხრივ, აღნიშნული შესაძლებელს გახდის მთელი წლის განმავლობაში დარეგულირდეს სტაბილური რაოდენობით რძის წარმოება.
- სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება სერიოზული წინსვლა იქნება მუნიციპალიტეტისათვის. იგი ხელს შეეწყობს სოფლის მეურნეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას (მემინდვრეობა-მეცხოველეობა-მელორეობა-მეფრინველეობა), რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და გაზრდის რაოდენობას.
- ადგილობრივი კადრების გადამზადება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროებში და ფერმერების დონეზე ექსტენციური მომსახურეობის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ცოდნის დონის ამაღლებას, რის შედეგადაც

უზრუნველყოფილი იქნება არსებული დარგების სრული აგროტექნიკური ციკლის შენარჩუნება, პირველადი წარმოებიდან საბოლოო პროდუქტამდე, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის გაზრდილ რაოდენობას და ხარისხს.

- მუნიციპალიტეტში არსებული მდინარეების რესურსის გამოყენებით შესაძლებელია რამდენიმე საკალმახე მეურნეობის მოწყობა, რაც დამატებით შემოსავალს მოუტანს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. ამ დარგის განვითარებისათვის საჭიროა ფინანსური მხარდაჭერა და ასევე კალმახის გამოზრდის თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლება და დანერგვა.

2.2 მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

ცაგერის მუნიციპალიტეტში მრეწველობა სუსტადაა განვითარებული, ძირითადად იგი შემოიფარგლება ქვის დამუშავებით, ინერტული მასალების მოპოვებით, კვების მრეწველობით (პურის საცხობები, ლიმონათის საამქროები). ამასთან, მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი და ჰიდრო რესურსებით, წიაღისეულით, ხე-ტყით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ლაჯანურის ჰიდრო-ელექტრო სადგური, რომლის საპროექტო სიმძლავრე არის 105 მგვტ, ასევე ორბელჰესი -ამჟამად უმოქმედო, სიმძლავრე 2 მგვტ. მიმდინარეობდა და მომავალში უნდა განახლდეს ნამოხვან-ჰესის კასკადის მშენებლობა (სიმძლავრე 100 მგვტ). მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობის დიდი პოტენციალია. ამჟამად სოფელ ოყურეშში მდ.რაჩხაზე მიმდინარეობს ჰესის მშენებლობა, რომლის საპროექტო სიმძლავრე არის 1,5 მგვტ. მთავრდება მდ. ჯონოულზე მცირე ჰესის მშენებლობა. ასევე ორი მცირე ჰესის მშენებლობა პერსპექტივაში გათვალისწინებულია მდ. ლაჯანურზე და ერთი ჰესის მშენებლობა მდ. ცხენის წყალზე.


ეკონომიკური მაჩვენებლებიც ადასტურებს ცაგერის მუნიციპალიტეტში კერძო სექტორის განვითარების მდგომარეობას. პროდუქციის გამოშვებამ 2018 წელს 13,7 მლნ. ლარი შეადგინა, რომელიც გაცილებით მეტია წინა წლის მაჩვენებელს. ბრუნვა კი 17 მლნ. ლარით განისაზღვრა, რომელიც ასევე მეტია 2014 წლის მონაცემზე. დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 440 ადამიანია.

ცხრილი №3 ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, 2015 წელი

ბიზნესსექტორისძირითადიეკონომიკურიმაჩვენებლები (2015)	ერთეული	მონაცემი
პროდუქციისგამოშვება	მლნ. ლარი	15,7
ბრუნვა	მლნ. ლარი	17
დასაქმებულთასაშუალოწლიურირაოდენობა	კაცი	440
დაქირავებულთასაშუალოთვიურიშრომისანაზღაურება	ლარი	400
ინვესტიციებიფიქსირებულაქტივებში	მლნ. ლარი	0,0

როგორც ზემოთ აღინიშნა მრეწველობა მუნიციპალიტეტში სუსტადა არის განვითარებული. მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია რამდენიმე ობიექტი, სადაც დასაქმებულია მუდმივად 42 კაცი, მათი საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს 350 -380 ლარს.

დიაგრამა№ 3. ბიზნეს სექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა, საქმიანობის სახეების მიხედვით, 2018 წელი



უკანასკნელ პერიოდში მუნიციპალიტეტში შედარებით იგრძნობა ბიზნეს აქტივობის გამოცოცხლება. პროგრამით „აწარმოე საქართველოში“ მიმდინარე წელს პირველი ეტაპი გავლილი აქვს 36 ბიზნეს იდეას, აქედან მოსალოდნელია გამარჯვებული გახდეს 25 ბიზნეს იდეა მაინც.

მუნიციპალიტეტის სავარაუდო როლი შეიძლება განისაზღვროს კერძო სექტორისადმი მორალური ხელშეწყობით, პოტენციური ინვესტორების მოძიებით, რეგიონის ცნობადობის დონის ამაღლებით.

2.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო

ცაგერის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კუთხით უმნიშვნელოვანესია ხვამლის მთა, რომელიც მიიჩნევა ძველი ისტორიული ანტიკური წყაროებიდან ბერძნული მითური ლეგენდარული გმირების მოგზაურობის მისტიკურ ადგილად. ხვამლის მთა ტურისტებისათვის დღესაც მიმზიდველი და საინტერესოა, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში შემოსულია 14800 ტურისტი, მათ შორის 4600 არის უცხოელი.

ცაგერის მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია წმიდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავის აღმოჩენა სოფ. ჩხუტელში, ისტორიულ ადგილზე მურში. წმინდა მაქსიმეს ძალიან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ბიზანტიის მოსახლეობაში, მწვალებლობაში მყოფი იმპერატორი და სასულიერო პირები ყოველმხრივ ცდილობდნენ, ნეტარი მამა რომელიმე ცრუმოდვრების მიმდევარი გაეხადათ. მათი ყოველი ცდა უშედეგოდ დასრულდა, რის გამოც ხელი და ენა მოჰკვეთეს ნეტარ მამას და თავის ორ მოწაფესთან ერთად ლაზიკაში გადაასახლეს. ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობის შემდეგ წმინდა მაქსიმე ციხესიმაგრე სქიმარში გარდაიცვალა. მნიშვნელოვანი პერსპექტივა აქვს სოფ. დეხვირის „მუზეუმს ღია ცის“ ქვეშ,

სადაც აღმოჩენილია ანტიკური პერიოდის არქეოლოგიური მასალები, აღსანიშნავია ცაგერის ისტორიული მუზეუმის ექსპონატთა ისტორიული ღირებულება და მნიშვნელობა.

ბალნეოლოგიური კურორტი ლაშიჭალა მდებარეობს ცაგერიდან 20 კმ-ზე მდ. ლაჯანურის ხეობაში ზღვის დონიდან 800-900 მეტრზე. კლიმატი ნოტიოა, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 1200-1400 მმ-ს შეადგენს. ბალნეოლოგიური კურორტის პროფილია - გასტროლოგიური ართროლოგიური (პნს) პერიფერიულ ნერვული სისტემის მკურნალობა. წყაროების დღეღამური დებეტი 20 ათას ლიტრს აღწევს. მას იყენებენ როგორც სასმელად, ისე სააბაზანო პროცედურისათვის. კურორტი ფუნქციონირებს ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში. ლაშიჭალაში ფუნქციონირებს 250 კაციანი პანსიონატი და კერძო საოჯახო სასტუმროები.

მუნიციპალიტეტის სხვა საკურორტო ადგილებია ახალჭალა, „მულური“, ლამკვერია, შუა ალვი, ალპანა, ზუბი.

მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელია შემუშავებული იქნას ტურიზმის განვითარებისათვის მუნიციპალური პროგრამები, რომლის ფარგლებში პრიორიტეტულია ტურისტული ბანაკების მოწყობა, საოჯახო სასტუმროების, მარნების, ლეჩხუმის ღვინის, მინერალური წყლების და ბიოლოგიურად სუფთა ხილ-პროდუქტების, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის რეკლამირება ინტერნეტ - სივრცის გამოყენებით.

სასიხარულოა, რომ ქ. ცაგერის ცენტრში დაწყებულია და მომავალი წლის გაზაფხულზე დასრულდება ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა, იგეგმება ხვამლის მთის მიმართულებით 10კილომეტრიანი გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე გადასახედების მოწყობა და მურის ციხეებს შორის დამაკავშირებელი გზის და მაქსიმე აღმსარებლის ტაძრის მწვანე თეატრთან დამაკავშირებელი კლდეზე დაკიდული ბილიკების გაკეთება.

3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

რეგიონისათვის დამახასიათებელი ბუნებრივ-რელიეფური პირობებიდან გამომდინარე ლეჩხუმში ტრადიციულ პრობლემას წარმოადგენს რეგიონის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მდგომარეობა, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება. ტურისტული და საკურორტო ადგილების ინფრასტრუქტურის დაბალი დონე, მდინარე ცხენისწყლისა და ლაჯანურის ნაპირგამაგრებითი ღონისძიებების განხორციელება. მოსახლეობის გაზიფიცირების მდგომარეობა.

3.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის შიდა სახელწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასტილის მაგისტრალის 35 კმ. მონაკვეთი, ცაგერი-ალპანა-ამბროლაური-მამისონის მაგისტრალის 22 კმ. მონაკვეთი, ალპანა-ქუთაისის 15 კმ. მონაკვეთი (საერთო სიგრძე - 72 კმ).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის 512,5კმ გზაა. რკინიგზა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არის. ხიდების საერთო რაოდენობაა 32, ხოლო მათი საერთო სიგრძე 1167 მეტრს შეადგენს.

გზები

2013-2018 წლებში რეგიონული პროექტების ფონდის დაფინანსებით რეაბილიტაცია ჩატარდა ქ.ცაგერის თავისუფლების, ლესელიძის, ბარათაშვილის,ასათიანის,ნინოშვილის, ჭავჭავაძის, ისიანის, წერეთლის, ახვლედიანისა და სტადიონის ქუჩებს, სადაც მოეწყო ფეხით მოსიარულეთა ბილიკები, ბორდიურები, სანიაღვრე არხები, შესაბამისი ინფრასტრუქტურით რაზედაც დახარჯულ იქნა 3 046 520 ლარი, დაგებული იქნა 42 000 კვ.მეტრი ასფალტის საფარი, ამავე პერიოდში ორმოული დახრეშვითი სამუშაოები ჩატარდა სოფლად არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს, კეთილმოეწყო სოფელ ზუბის,ბარდნალის ლარჩვალის, ქვედა ცაგერის, ლუხვანოს, ჭალისთავის, ლაილაშის შიდა სასოფლო გზები, სათანადო წყალგამტარი სანიაღვრე არხებითა და ცხაურებით. ამავე პერიოდშიმოწესრიგდა სტიქიისაგან დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზები35 სოფელში.

2019-2020 წლებში იგეგმება სანაპიროს, გოლეთიანის, ასათიანის (მარჯვენა), ვაჟ-ფშაველას ქუჩებისა და ჩიხების რეაბილიტაცია, რაზედაც შესრულდება 1 393 051 ლარის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ამავე დროს უახლოეს პერსპექტივაში გათვალისწინებულია სოფლის თემის ცენტრებამდე ასფალტირებული გზების რეაბილიტაციის სამუშაოები. ამ მიზნით სოფ.ჩხუტელში დაიგო 1,2 კილომეტრი გზის მონაკვეთი, ხოლო სოფ.ქვ.ცაგერის ჩხუტელის დასახლებაში მოეწყო 310 გრძ.მ-ზე ასფალტის საფარი. მომავალი წლისათვის დაგეგმილია სოფ.ლასურიაში მისასვლელი გზის ასფალტირების სამუშაოების განხორციელება. ამჟამად მიმდინარეობს ხვამლის ტურისტული პოტენციალის ათვისების მიზნით სარეაბილიტაციო გზის სამშენებლო სამუშაოების ტენდერი, რომლის დასრულება გათვალისწინებულია 2019 წლისათვის. აგრეთვე, იგეგმება კურორტ ახალჭალისა და ლაშიჭალის მიმართულებით საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება და მდინარე ჯონოულის ხეობის მიმართულებით არსებული ტურისტული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც სამთო-სამონადირეო, თევზაობისა და ველური ბუნების მოყვარულთა ტურიზმის განვითარების პირობებს შექმნისათვის.

მუნიციპალიტეტის რთული რელიეფური პირობების გამო გაძნელებულია შიდა გზების მოვლა-შენახვა, წვიმების დროს ხშირად ხდება ღვარცოფისაგან გზის სავალი ნაწილის გარეცხვა და გზების ზედაპირის მდგომარეობის გაუარესება, რის გამოც პრაქტიკაში

დაინერგა სარეაბილიტაციო გზებზე სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობა, რაც დადებით შედეგს იძლევა, მარტო 2018 წლისათვის დაგეგმილია დაზიანებული გზების აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, რაზედაც დაიხარჯება 2 100 000 ლარი, მათ შორის მოეწყობა 5000 გრძ.მ სანიაღვრე არხი და 800 გრძ.მ ცხაურები.

სოფლებში მოსაწყობია ახალი ხიდ-ბოგირები (18 ერთეული), სოფელ ჩხუტელსა და ქულბაქში გასასვლელი საავტომობილო ხიდები, ასევე კურორტ „ლაშიჭალის“ მიმართულებით მოსაწყობია ხიდები.

გარე განათება

მუნიციპალიტეტის სოფლის თემის ცენტრები ძირითადად უზრუნველყოფილია გარე განათებებით, ყოველწლიურად მისი მოწყობა-განახლება წარმოებდა სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებით, მუნიციპალიტეტის 59 დასახლებული პუნქტიდან გარე განათებით უზრუნველყოფილია ქ.ცაგერი და მუნიციპალიტეტის 37 სოფელი. სადაც განთავსებულია 2270 ცალი სანათი. რაზედაც ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვისათვის ყოველწლიურმა გაწეულმა ხარჯმა 77000 ლარი შეადგინა, ხოლო ელექტროენერჯის საფასურის ღირებულებამ 105 ათასი ლარი

წყალმომარაგება

მუნიციპალიტეტის 59 დასახლებული პუნქტიდან სასმელი წყლით უზრუნველყოფილია მოსახლეობის 70 პროცენტი, ასევე ბოლო 3 წლის განმავლობაში მოეწყო სოფელ ორბელის წყალსადენი 100 ოჯახზე, აღდგენილ იქნა სოფელ ლაილაშისა და აჭარის წყალსადენი, მოეწყო სოფელ გაგულეჩის, ზუბის, ისუნდრის, ზედა აღვის წყალსადენები.

ამასთან, ქ.ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის ნაწილის წყალმომარაგებას ანხორციელებს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, რომელიც მარაგდება ციფყაროს წყალსაქაჩი მეურნეობიდან. წყალი წვიმების პერიოდში იმღვრევა, რამაც დღის წესრიგში დააყენა სოფელ ქულბაქიდან 19 კილომეტრიანი მაგისტრალის მშენებლობის აუცილებლობა. ამჟამად დასრულებულია საპროექტო სამუშაოები, რომლის სახარჯდადრიცხვო ღირებულება 28 მილიონ ლარს შეადგენს და სავარაუდოდ სამუშაოები დაიწყება 2019 წლისათვის, რომელიც მოემსახურება ქ.ცაგერისა და ცხენისწყლის ხეობის 16 სოფლის მოსახლეობას. ასევე იგეგმება ცალკეული სოფლების წყალმომარაგების მდგომარეობის გაუმჯობესება, დაგეგმილია ორბელის წყალსადენის სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მოემსახურება როგორც ორბელს, ასევე სოფელ ლაჯანის მოსახლეობას. ანალოგიური ღონისძიებები ჩატარდება ალპანის წყალსადენის სათავე ნაგებობაზე, ასეთი წყალსადენის მაგისტრალია გასაყვანი სოფელ ნასპერში, რითაც 40 ოჯახის პრობლემა მოგვარდება. ასევე სარემონტო სამუშაოებია ჩასატარებელი სოფელ საირმის წყალსადენის სათავე ნაგებობაზე. ყოველწლიურ მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს სოფლის წყალსადენების ისეთი უბნები, სადაც მეწყერსაშიში ზონებია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით პერიოდულად ჩასატარებელია ღონისძიებები. გათვალისწინებულია, რომ

2021 წლისათვის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის წყალმომარაგება იქნება უზრუნველყოფილი. ამასთან, მოსაწესრიგებელია სოფლად არსებული წყალსადენის სათავე-ნაგებობების მდგომარეობა, არსებული 192 წყალსადენიდან სანიტარული რეჟიმის დაცვას მოითხოვს წყალსადენის სათავე-ნაგებობების თითქმის 80 პროცენტი, რომლებიც შემოკავებასა და დაცვას მოითხოვს.

კანალიზაცია

ქ. ცაგერში 2012-2014 წლებში მოეწყო ჩამდინარე წყლის სისტემები, რითაც მოცული იქნა ქ. ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის ნაწილი. შემდგომ ეტაპზე მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე აშენდა კანალიზაციის მექანიკური გამწმენდი ნაგებობა. სეპტიკისათვის გამოყენებულია სამკამერიანი რეზერვუარები, პირველი რეზერვუარისტევადობა 600 მ³, ხოლო მეორე და მესამე 300-300 მ³, რეზერვუარების სიმაღლე 3,92 მეტრია, რეზერვუარები შემოკავებულია ლითონის ბადით, ჭიშკრითა და სათავსოთი. ამჟამად მიმდინარეობს სოფ. ქვ. ცაგერის ჭალის უბნის 80 ოჯახზე კანალიზაციის ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, რაზედაც დაიხარჯება 193000 ლარი.

ენერგომომარაგება და გაზიფიკაცია.

მუნიციპალიტეტის ელექტრომომარაგებას ანხორციელებს ს/ს ენერგო-პროჯორჯია, რომელმაც გარკვეული ინვენსტიციები განახორციელა მუნიციპალიტეტში, დასრულდა აბონენტთა გამრიცხველიანება, მაგრამ საზოგადოებამ სრულად ვერ მოახდინა არსებული ინფრასტრუქტურის გადაიარაღება. შედეგად ხშირია ავარიული გამორთვები ცალკეულ მიმართულებებზე, რაც გამოწვეულია მოძველებული საყრდენი ბოძებისა და არსებული სადენების ექსპლოატაციით.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა წლების განმავლობაში აყენებენ წინადადებას გაზიფიკაციის პრობლემის მოგვარების შესახებ, რაც ჯერ-ჯერობით კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკითხი დასმულია შესაბამის ორგანოებში, შეტანილია საინფორმაციო ბაზაში, რაც შესაძლებელია განხილული იქნეს რეგიონულ ჭრილში 2 მუნიციპალიტეტის ბაზაზე (ლენტეხი- ცაგერი), დაიწყოს პრობლემის მოგვარების მიმართულებით მუშაობა. ეს საკითხი მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებს აღემატება და აუცილებელია ცენტრალური ხელისუფლების აქტიური ჩართულობა.

ნაპირდამცავი ღონისძიებები

ცაგერის მუნიციპალიტეტისათვის პრობლემას წარმოადგენს მდინარე ცხენისწყლისა და ლაჯანურის ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობა, რაც გამოწვეულია ლაჯანურჰესის კაშხალის მექანიკური რეგულაციებით, შედეგად მდინარეთა კალაპოტები არსებული ნიშნულიდან 4-5 მეტრით ამაღლდა და საფრთხე ექმნება ქ.ცაგერის, სოფელი ქვედა ცაგერის, ჭალისთავის, ორბელის, ლაჯანის, ლაცორიის მდინარეთა კალაპოტების ახლო მდებარე განთავსებულ მოსახლეობას, რომლის დაცვის მიზნით ყოველწლიურად მიმდინარეობს სამუშაოთა წარმოება. 2015 წელს გაეროს დაფინანსებით მოეწყო მდინარე ცხენისწყალზე

სოფელ ქვედა ცაგერისა და ჭალისთავში 930 გრძივი მეტრი ნაპირდამცავი გაბიონი, კურორტ ლაშიჭალის მიმართულებით სოფ.ჭალისთავსა და სოფ.სპათაგორში ნაპირდამცავი ნაგებობები, დასრულების ფაზაშია სოფ.ჩხუტელში ნაპირდამცავი სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილია ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობის გაგრძელება ქ.ცაგერში, სოფ.ლაჯანაში, სოფ.ლარჩვალში, სოფ.ქვ.ცაგერში.

3.2. ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტში წინა პირობები შეიქმნა ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, დადგენილია 7 საფეხმავლო ტურისტული მარშრუტი, რომელიც ითვალისწინებს ხვამლის, ასხის, ახალჭალის, ლაშიჭალის, საირმის სანახებზე მოგზაურობას. შემუშავდა ჯომარდობის მოყვარულთათვის რიონისა და ცხენისწყლის ხეობების მარშრუტები.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2015 წელს მუნიციპალიტეტის შემოსასვლელელებში კეთილმოეწყო წყაროები, რაზედაც დახარჯულ იქნა 50 ათასი ლარი. ამჟამად მიმდინარეობს ტურისტულად მიმზიდველი ადგილების კეთილმოწყობა სოფ.ჩხუტელში, სოფ.ღვრიშში, სოფ. ორბელის გადასასვლელზე, სოფელ ჩქუმსა და ოფიტარაში, სადაც დაიხარჯება 615 000 ლარი. ამავე პერიოდში დასრულდა ქ.ცაგერში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა რაზედაც დაიხარჯა 307 000 ლარი. სათანადო პირობები შეიქმნა ისტორიული და რელიგიური ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, მსოფლიო მართლმადიდებლური სამყაროს ინტერესთა სფეროში მოექცა მაქსიმე აღმსარებლის საფლავი, დეხვირის ციხე-კომპლექსი, სოფელი დოღურაში, ხვამლის მთა და სხვა.

ამავე დროს ბუნებრივ რელიეფური პირობებიდან გამომდინარე სტრატეგიული გეგმის შესაბამისად 2019 წლისათვის გათვალისწინებულია ხვამლის მთის ტურისტული გზის რეაბილიტაციის სამუშაოთა წარმოება რაზედაც დაიხარჯება 15 000 000 ლარი, ხოლო ოყურემის ხიდი ზედა ოყურემის მიმართულებით 4 მილიონი ლარი. 2020-2021 წლებში იგეგმება კურორტ ლაშიჭალისა და ახალჭალის გზების სარემონტო სამუშაოების ჩატარება. საცხენოსნო ტურიზმის განვითარება, გვესოს ტურისტული გზის რეაბილიტაცია.

ცაგერში ფუნქციონირებს სამი სკვერი. ერთ სკვერში მოწყობილია ბავშვთა გასართობი ატრაქციონი,შემოკავებასა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს ქ.ცაგერში კეჭნარის სკვერი, განახლებას საჭიროებს სკვერში დასაჯდომი ადგილები, მოსაწყობია ბავშვთა გასართობი ატრაქციონი და ტრენაჟორები. ქ.ცაგერის ქუჩებში დასამონტაჟებელია 50 ცალი პლასტმასის მცირე მოცულობის კონტეინერები.

4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ცაგერის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ერთი საავადმყოფო 25 საწოლით, ასევე 19 ამბულატორია. თემებში მოსახლეობის ჯამრთელობაზე ზრუნავს 24 ექიმი და 39 მედდა, თუმცა, მუნიციპალიტეტი ექიმების ნაკლებობას განიცდის. მუნიციპალიტეტს ამჟამად ემსახურება ორი სასწრაფო დახმარების სამედიცინო ბრიგადა. მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებს 4 კერძო სტომატოლოგიური კლინიკა. ამასთან, მუნიციპალიტეტში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები განიცდის მაღალკვალიფიციური კადრების უკმარისობას, განსაკუთრებით - ვიწრო სპეციალობით, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამკურნალოდ გასვლას ქვეყნის სხვადასხვა კლინიკაში. აქტუალურია სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა.

4.1 ჯანდაცვისმომსახურეობისხელმისაწვდომობა

ცაგერის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს 1 საავადმყოფო, 25 საწოლი, 19 საექიმო ამბულატორია, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ორი ბრიგადა, 4 კერძო სტომატოლოგიური კლინიკა. უკანასკნელი 4 წელია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის ხელმისაწვდომობა მკვეთრად გაიზარდა კატასტროფის სამსახურის გამართული მუშაობის შედეგად.

მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ არსებობს ობიექტური მიზეზები, რომლებიც იწვევს სამედიცინო მომსახურეობის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის შემცირებას. კერძოდ: საექიმო ამბულატორიების უმრავლესობაში ექიმები მუშაობენ შეთავსებით, არსებული გრაფიკის მიხედვით კვირაში ერთჯერ. ეს გრაფიკი ხშირად ირღვევა, რაც გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურეობის ხარისხზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სოფლები საკმაო მანძილითაა დაშორებული ცენტრიდან, მოსახლეობის უმრავლესობა ხანდაზმულია და უჭირს გადაადგილება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სოფელში(ხოჯი, ზოგიში, ცაგერა, მახურა, სურმუში, მახაში, სანორჩი, ზედა ორბელი) არ არის მედდა, რაც იწვევს მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას.

მუნიციპალიტეტში მოქმედებდა სამი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა: ორი ბრიგადა ქ. ცაგერში, რომელიც დღემდე ემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას და ერთი ბრიგადა ფუნქციონირებდა ალპანის თემის ტერიტორიაზე, რომელიც გაუქმდა დაახლოებით ერთი წელია, რის გამოც ზოგჯერ ადგილი აქვს გამოძახების დაგვიანებით შესრულებას. გამომდინარე ჩვენი მუნიციპალიტეტის რთული რელიეფური მდგომარეობიდან, შესაძლებლობის ფარგლებში მიზანშეწონილია აღდგეს გაუქმებული ბრიგადის ფუნქციონირება.

მუნიციპალიტეტი განიცდის ვიწრო სპეციალობის ექიმების ნაკლებობას (ტრავმატოლოგი, უროლოგი, ოკულისტი), რის გამოც ავადმყოფებს ხშირად უხდებათ მიმართონ მუნიციპალიტეტის გარეთ არსებულ სამედიცინო დაწესებულებებს, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ხარჯებთან.

აქტუალურია აგრეთვე მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ფარმაცევტულ დაწესებულებებში მედიკამენტებზე ფასები მაღალია.

4.2. სოციალური მომსახურეობა

ცაგერის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღები მოსახლეობის რაოდენობაა 4382 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 42,5%-ია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს - 13%-ს. ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა და საბოლოო ჯამში შემცირებულია 1453 ერთეულით.

ცაგერის მუნიციპალიტეტში პენსიონერთა რაოდენობაა 3653 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 30,4%-ია (იხ.დანართი 3), რაც ადგილობრივი მოსახლეობის გადაბერებაზე მიუთითებს. ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემცირებულია 842 ერთეულით. სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა შეადგენს 563-ს და მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა - 70-ს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა შემცირებულია შესაბამისად 27 და 21 ერთეულით. ამასთან, იძულებით გადაადგილებული პირთა რაოდენობა, რომლებიც ღებულობენ დევნილთა შემწეობას, შეადგენს 21 პირს, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში შემცირებულია 9 პირით. ასევე, მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით არის 17 - მრავალშვილიანი ოჯახი, 4 მარტოხელა დედა, 143 ომის მონაწილე და 350 იძულებით გადაადგილებული პირი.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დამხმარე საშუალებების ქვეპროგრამით ისარგებლა 3 ბენეფიციარმა, რაც არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე ძალიან ცოტაა და მომავალში აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.

ქვემოთ მოცემული ქვეპროგრამებში მოყვანილ ბენეფიციართა დახმარება ხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის წესის შესაბამისად (ცაგერის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N3 დადგენილება), რისთვისაც მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2018 წელს გამოყოფილი იქნა 190 000 ლარი.

ცხრილი № 4. მუნიციპალიტეტის სოციალური ქვეპროგრამები და ბენეფიციართა რიცხვი

N	ქვეპროგრამის დასახელება	ბენეფიციართა
---	-------------------------	--------------

		რაოდენობა
1	სოც.დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური კვება	116
2	ერთჯერადისოც. ფულადიდახმარება	152
3	უსახლკარო, დაუცველიმოსახლეობისმატ.დახმარება	3
4	დიალიზზედამოკიდებულთადახმარება	13
5	სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	527
6	მრავალშვილიანი ოჯახების დაფინანსება	17
7	ორსულთა დახმარება	14
8	შშმ ბავშვთა მატერიალური დახმარება	14
9	გარდაცვლილთა სარიტუალო მომსახურება	8
10	მარტოხელა დედების ფულადი დახმარება	4
11	ობოლ ბავშვთა ფულადი დახმარება	-
12	ხანდაზმულთა ფულადი დახმარება	52
13	ომის ვეტერანთა დახმარება	56

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 2 უმწეოთა სასადილო (ერთისოფელჯანაში,რომელიც ემსახურება 36 ბენეფიციარს, ხოლო მეორე ქ.ცაგერში, რომელიც 80 ბენეფიციარს ემსახურება).

აღსანიშნავია, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს.

5.განათლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტში გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის, როგორც საშუალო, ასევე სკოლამდელი განათლების დაწესებულებები. განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, ბოლო პერიოდში

სერიოზული სამუშაოები შესრულდა სკოლამდელ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით.

ეტაპობრივად უმჯობესდება კულტურის და სპორტის ობიექტების მდგომარეობა. აღსანიშნავია დასრულების სტადიაშია მწვანე თეატრის სარეაბილიტაციო და ქალაქ ცაგერში მრავალპროფილიანი სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები.

ქ. ცაგერში თავისუფლების ქუჩაზე მოეწყო მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, ეტაპობრივი სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ცაგერის გელა ხვადაგიანის სახელობის სპორტულ დარბაზს, სადაც დღეისათვის ფუნქციონირებს კალათბურთის, ჭიდაობის (ძიუდო, ქართული ჭიდაობა) ორთაბრძოლების და კრივის სექციები.

5.1 განათლებაზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობა

ცაგერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 16 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომელიც ბოლო 3 წლის განმავლობაში გაზრდილია 2 ერთეულით (აშენდა დეხვირისა და მახაშის ახალი საბავშვო ბაღები). ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენს 322 ბავშვს, რომელიც ბოლო 3 წლის განმავლობაში გაზრდილია 33 აღსაზრდელით. აღზრდელთა რაოდენობა შეადგენს 168-ს, ბოლო სამი წლის დინამიკით სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა და ახალი ინვენტარით აღიჭურვა ცაგერის N1 საბავშვო ბაღის შენობა. აშენდა ქვედა ცაგერის საბავშვო ბაღის ახალი შენობა და დაწესებულება აღიჭურვა ახალი ინვენტარ-მოწყობილობით. ასევე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ლასურიაშის, ლაჯანის, ალპანისა და ორბელის საბავშვო ბაღებს. მიმდინარე წელს დაიწყო და დასრულების სტადიაშია ქ. ცაგერის N 2 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 3 წლის დინამიკით 13-14% -ით იზრდება სკოლამდელი დაწესებულებების ბიუჯეტი.

ცაგერის მუნიციპალიტეტში 26 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა/სკოლაა, მათ შორის ერთი კერძოა. მოსწავლეთა რაოდენობა 912-ია (იხ.დანართი 5), მათ შორის 78 კერძო სკოლაში. საჯარო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 139 ერთეულით, მათ შორის კერძო სკოლაში -24 ერთეულით. მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 452, მათ შორის 24 კერძო სკოლაში. მასწავლებელთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 13 ერთეულით, მათ შორის კერძო სკოლაში - 1 ერთეულით. მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა შეადგენს 2.2-ს, რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 0,2-ით. *იხილეთ მოსწავლეთა განაწილება კლასების მიხედვით დანართ 4-ში.*

2018 წელს აშენდა მახაშის საჯარო სკოლა. იგეგმება ლაილაშის ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა და ორბელის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეებს ემსახურება სასკოლო მიკროავტობუსები. უკანასკნელ წლებში მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამდლდა კადრების კვალიფიკაცია, საჯარო სკოლებში განხორციელდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, სკოლების დიდი ნაწილი აღიჭურვა

კომპიუტერული ტექნიკით და ჩაერთო ინტერნეტის ქსელში. თუმცა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არაა დამაკმაყოფილებელია. შესაძლებელია ქ.ცაგერში ამოქმედდეს კერძო პროფესიული კოლეჯი.

ცაგერის მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებს სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება, სადაც 26 აღზრდელი ემსახურება 150 ბავშვს. ცაგერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ - წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია, სადაც ირიცხება 5 სტუდენტი. 5.2 კულტურისა და სპორტის სერვისები

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 41 ბიბლიოთეკა, 25 სასოფლოკლუბი, საფეხბურთო და ფრენბურთის კლუბები ერთი სპორტული სკოლა და სპორტული დარბაზი, სახალხო თეატრი, ერთი ისტორიული მუზეუმი ხუთი ფილიალით. აღსანიშნავია, რომ კულტურის ობიექტებზე მაცურებელთა/ვიზიტორთა რაოდენობა წლიურად შეადგენს 7100, რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში 48%-ით გაიზარდა, ხოლო სპორტულ ობიექტებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 3600, რაც ბოლო 3 წელიწადში გაზრდილია 46%-ით.

დასრულების სტადიაშია მწვანე თეატრის სარეაბილიტაციო და ცაგერის მრავალპროფილიანი სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები. დასრულდა ქ. ცაგერში თავისუფლების ქუჩაზე მარტივი ტიპის მოედნის მოწყობის სამუშაოები. აუცილებელია გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს კულტურის ცენტრის შენობა, სოფლის კლუბები და ბიბლიოთეკები.

6. გარემოსდაცვა

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციით, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსები ზომიერია. ცაგერის ტერიტორიაზე ჩამოედინება მდ. ცხენისწყალი, ლაჯანური, რიონი. წყლის შეფასებული რესურსის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. მუნიციპალიტეტში არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადი ნაწილი უჭირავს ტყეებს (47,000 ჰა). ადმინისტრაციულ ერთეულში არის სამრეწველო დანიშნულების, სუბალპური და ჭალისპირა ტყეები, თუმცა არ არის ინფორმაცია თითოეული კატეგორიის ტყის ფართობები, პირადი დაკვირვებების საფუძველზე, ნათელია, რომ მუნიციპალიტეტში ხდება ტყის ჭრა, თუმცა ინფორმაცია ტყის ჭრის წლიური ლიმიტს შესახებ არარსებობს. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტყეებში ხანძარი იყო, სოფ. დეხვირის, ლასურიაშის, ლასხარასა და ჩხუტელის ტერიტორიებზე. ბოლო წლებში ტყის ხანძრების რაოდენობა არ შეცვლილა, წელიწადში ხდება 1 ან 2 ხანძარი. მუნიციპალიტეტში აუცილებელია ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებების გატარება. ტყეების დეგრადაციის გამომწვევ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ტყის ხანძრები. არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტების ფარგლებში მუნიციპალიტეტში პერიოდულად ხორციელდება მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.

რელიეფი ძლიერ დანაწევრებულია მდ. ლაჯანურის, მდ.რიონისა და მდ.ცხენისწყალის, მდ.ჯონოულის, მდ.რაჩხის შენაკადების მიერ, რაც ქმნის პირობებს ღვარცოფებისა და მეწყრული მოვლენების ჩასახვა–ჩამოყალიბებისთვის. მუნიციპალიტეტი გეოლოგიური საშიშროებისა და კლიმატის ცვლილებების თვალსაზრისით ერთ–ერთ ურთულეს მოწყვლად სივრცეს წარმოადგენს და ხასიათდება მეწყრებით, ღვარცოფებით და ეროზიული პროცესებით, წყალდიდობებითა და გრუნტისწყლების შეტბორვებით. პროცესების გააქტიურებას, ექსტრემალურ გეოლოგიურ და მორფოლოგიურ პირობებთან ერთად, განაპირობებს კლიმატის ცვლილების, გლობალური დათბობის ზეგავლენა. სტიქიური მოვლენების (წყალმოვარდნა, მეწყერი და ღვარცოფი) სიხშირისა და ინტენსივობის ზრდამ გააძლიერა მიწის ეროზია, სასოფლო–სამეურნეო და სავარგულების ინფრასტრუქტურის დაზიანება და განაპირობა მოსახლეობის მიგრაცია. სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარება–რეაქტივაციისას მოსალოდნელი საშიშროებისაგან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვისათვის, მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მოწყვლად ფერდობებზე სარეაბილიტაციო და საადაპტაციო ღონისძიებების გატარება და საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმის შემუშავება.

მუნიციპალიტეტის ტყეები მდიდარია სხვადასხვა სახის ცხოველებით და ფრინველებით. აქ ბინადრობს კავკასიური მურა დათვი, მგელი, მელა, არჩვი, შველი, ფოცხვერი, ტურა, მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო, რაიონი წარმოადგენს გადამფრენი ფრინველების ტრასის ერთ ნაწილს, და აქ სეზონურად შეიძლება შეხვდეთ კავკასიურ წეროს, გედს, გადამფრენ ტყის ქათამს, არის შემთხვევები კაკბების გუნდის შემოფრენისა, მრავლად გვხვდება გარეული ბატი, იხვი, მწყერი, გვრიტი.

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული წლების წინ რაიონში შემოყვანილ იქნა გარეული ღორი (ლაჯანურის ხეობა)ადაპტაციის პერიოდმა წარმატებით ჩაიარა, ღორი წარმატებით შეეგუა ადგილობრივ პირობებს და გამრავლდა, მაგრამ ბრაკონიერობისა და უსისტემო ნადირობის შედეგად დღეისათვის მთლიანად გადაშენებულია.გადაშენების საფრთხის ქვეშაა კავკასიური მურა დათვი, ფოცხვერი.

მუნიციპალიტეტში მხოლოდ ცაგერს აქვს კანალიზაციის კოლექტორი, თუმცა არ არსებობს ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემა.

მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და გატანას უზრუნველყოფს აა(ი)პ „კომუნალური მეურნეობა“, რომელიც ემსახურება მოსახლეობის 14% (10,400 მოსახლე). მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი ნაგავსაყრელი მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 1.37 მ³, ხოლო შეგროვებული და ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 1,920 მ³.

მუნიციპალიტეტში მუშაობს 70% კონტეინერული სისტემა. გაგვაჩნია 82 ლითონის კონტეინერები. დანარჩენი 30% ზარის სისტემაზეა. გვაქვს 2 სპეც-ავტო მანქანა - ერთი კომპაქტორი და ერთი თვითმცლელი. არ გვაქვს სპეც-ავტომეურნეობების სამრეცხაო.

ნარჩენების მართვის მიმართულებით გამოყოფილია 65,640 ლარი, რაც შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის 0.62%.

მოცემული ბიუჯეტი არასაკმარისია მუნიციპალიტეტის მომსახურებისათვის. მუნიციპალიტეტს ესაჭიროება 100 ლითონის კონტეინერი, და ასევე მაღალმთიანი სოფლებიდან ნარჩენების გამოსატანად საჭიროა ერთი ერთ-ხიდიანი, და ერთ ორ-ხიდიანი მანქანა, შესაბამისად 13 კუბიანი და 6 კუბიანი.

7.ხელისუფლება

ცაგერის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია:

მერია

მერი, მოადგილეები

გამგეობის სამსახურები:

1. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური
2. კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
3. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
4. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური
5. განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
6. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური
7. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური
8. შიდა აუდიტის სამსახური
9. ადმინისტრაციული სამსახური.

საკრებულო

1. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვებისა და ინფრასტრუქტურის კომისია
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
3. სოციალურ საკითხთა კომისია
4. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია

5. სამანდანტო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

ხელმისაწვდომი სახელმწიფო სერვისები

ცაგერის მუნიციპალიტეტი საკმარისადაა მოცული სახელმწიფო სერვისების მომსახურებით. მოსახლეობას ემსახურება საჯარო და სამოქალაქო რეესტრი, სსიპ-„112“, მოსახლეობის ფართო მომსახურების მიზნით სოფ. ლაჯანაში გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც მრავალრიცხოვან სერვის სთავაზობს ლაჯანის ხეობის მოსახლეობას. ასევე მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, სსიპ „მექანიზატორი“, სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი.“

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტმა ადგილობრივი შემოსავლების, გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების ცვლილების ჩათვლით 4879,0 ათასი ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი იყო 7052,3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის ხარჯებმა შეადგინა 4903,2 ათასი ლარი. 2015 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 9577,2 ათასი ლარი, ხოლო ხარჯებმა - 9577,2 ათასი ლარი. 2016 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 540,4 ათასი ლარით, სადაც ხარჯების წილია - 4942,6 ათასი ლარი, 2017 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 632,3 ათასი ლარით, სადაც ხარჯების წილია - 4837,9 ათასი ლარი(იხ.დეტალურად ბიუჯეტის ანალიზი - დანართი 6.)

8. SWOT ანალიზი

ეკონომიკა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად • მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვნება • ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია • იაფი მუშახელი • მიწის რესურსების სიიაფე • რეგიონული პროექტები და ნაწილობრივ განახლებული საკომუნიკაციო 	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტში არსებული საინვენსტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი • ინვესტიციების სიმწირე და ინვესტორებთან მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება • ბიზნეს გამოცდილების დაბალი დონე • ტურისტული მომსახურების დაბალი დონე • მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის განვითარების სტრატეგიის არ არსებობა

<p>ინფრასტრუქტურა</p> <ul style="list-style-type: none"> • საკურორტო ადგილები • მინერალური წყლები • სასმელი წყლის რესურსები • ვაზის უნიკალური ენდემური ჯიშები და ღვინოების - „უსახელაური“, „ტვიში“, ორბელური „ოჯალეში“ - საერთაშორისო ცნობადობა. • სათიბ-სამოვრების დიდი რესურსი • საკალმახე წარმოების დიდი რესურსი • სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარების პოტენციალი • კურორტ ლაშიჭალის მაღალი ცნობადობა 	<ul style="list-style-type: none"> • სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობა და საქონლის დაბალ პროდუქტიულობა • უხარისხო შხამ-ქიმიკატები და დამატებითი დაცვის საშუალებების არარსებობა. მოძველებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მცირე მექანიზაციის საშუალებების ნაკლებობა • რეალიზაციის ბაზრის უქონლობა • მწირი და მოძველებული ჯიშები და ტექნოლოგიები • ადგილობრივი პროდუქციის წარმოება გადამუშავების და გასაღების არაორგანიზებულობა • უმუშევრობის მაღალი დონე • სასოფლო სამეურნეო პროდუქციის სასაწყობო მეუნეობის არ არსებობა.
<p>შესაძლებლობები</p>	<p>საფრთხეები</p>
<ul style="list-style-type: none"> • რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა • ტურისტული ნაკადების ზრდა • ეკოტურიზმზე, სასოფლო და აგროტურიზმზე მოთხოვნის ზრდა • კერძო ინვესტორების დაინტერესების ზრდა • საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარების მოცულობის ზრდა • მცირე ბიზნესის და აგროსესხების გაიაფებაზე ორიენტირებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამები • მიწის ნაყოფიერების მართვის ეფექტური მექანიზმის შექმნა • მეწყერული და ეროზიული მოვლენების პრევენციის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა • დაბალი ზონის სოფლებში სამელიორაციო და საირიგაციო სისტემის შექმნა. • გადამამუშავებელი საწარმოების და ფერმერთა კოოპერირების პროცესების სტიმულირება 	<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური კრიზისის შედეგად მუნიციპალიტეტში ინვესტიციების შემცირება • პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია • ბუნებრივი კატასტროფები საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი • ნარჩენების მართვის სისტემის გაუმართაობის შედეგად ტურისტული ზონების დაბინძურება და ტურისტული პოტენციალის დაქვეითება. • არსებული ტურისტული ობიექტების მდგომარეობის შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

<ul style="list-style-type: none"> • ფერმერთაუწყვეტი სწავლების სისტემის შექმნა 	
---	--

ინფრასტრუქტურა

<ul style="list-style-type: none"> • ელექტროენერჯის მიწოდების მუნიციპალიტეტში მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული სახელმწიფო მნიშვნელობის კომუნიკაციების არსებობა • მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებთან გზების მნიშვნელოვანი ნაწილის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტულობის აღიარება ხელისუფლებასა და თვითმმართველობის მიერ • მუნიციპალიტეტის ცენტრსა და ადმინისტრაციულ ცენტრს შორის სატრანსპორტო მიმოსვლის არსებობა • გარე განათების სისტემებით ადმინისტრაციული ცენტრის მნიშვნელოვანი ნაწილის უზრუნველყოფა • მუნიციპალური ცენტრისა და წყალმომარაგების ცენტრალური სისტემის უზრუნველყოფა 	<ul style="list-style-type: none"> • ქუთაისი-ალპანა სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რთული რელიეფური მდგომარეობა. • ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (მათ შორის შიდა სასოფლო გზების) არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულის ცენტრებისა და სოფლების კეთილმოწყობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალებების სიმცირე • სოფლებისა და დასახლებების რიგ ნაწილში გარე განათებების არარსებობა • სასმელი წყლით სოფლის მოსახლეობის არასრული უზრუნველყოფა და ხარისხის სტანდარტებთან სასმელი წყლის შეუსაბამობა
<ul style="list-style-type: none"> • სისტემით მოსახლეობის უზრუნველყოფა • მუნიციპალიტეტის ცენტრში ნარჩენების გატანის პრაქტიკის არსებობა • მუნიციპალიტეტის ცენტრში ქუჩების დასუფთავების პრაქტიკის არსებობა • დამუშავდა ნარჩენების მართვის 5 წლიანი სამოქმედო გეგმა 	<ul style="list-style-type: none"> • ზამთრის პირობებში სოფლის მოსახლეობის ელექტროენერჯით მომარაგების მდგომარეობაში არსებული შეფერხებები • საკურორტო ადგილებსა და სოფლების სრული მომსახურების დანერგვა. • ჯერ კიდევ უკონტროლო ნაგავსაყრელების არსებობა. • მშენებლობის სისტემის განვითარების

<p>. მუნიციპალიტეტის ცენტრში ლიცენზირებული ნაგავსაყრელის არსებობა</p>	<p>დაბალი დონე</p>
<p>შესაძლებლობები</p>	<p>საფრთხეები</p>
<ul style="list-style-type: none"> წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელის გაფართოება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ელექტროენერჯის მიწოდებაში არსებული პრობლემების დაძლევა არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობის გაზრდა საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების დახმარების მოცულობის გაზრდა უახლოეს პერსპექტივაში მუნიციპალიტეტის გაზიფიკაციის პრობლემის მოგვარების წინა პირობების შექმნა 	<ul style="list-style-type: none"> ბუნებრივი და სტიქიური მოვლენების მაღალი რისკი პროექტების ფინანსურ უზრუნველყოფაში დაბრკოლებების წარმოქმნა.

ჯამრთელობა და სოციალური დაცვა

<p>ძლიერი მხარეები</p>	<p>სუსტი მხარეები</p>
<ul style="list-style-type: none"> ოჯახის ექიმის მომსახურებით ყველა თემის უზრუნველყოფა ქ.ცაგერში ახალაშენებული თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საავადმყოფო საყოველთაო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა სოციალურად დაუცველ პირთა (უმწეოთა) სასაბინოების არსებობა სოციალური პროგრამების სიმრავლე სოციალური უზრუნველყოფის აღიარება სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად 	<ul style="list-style-type: none"> პრევენციის პროექტები საჭიროებს მრავალგვარობას და რაოდენობრივ გაზრდას მომძველებული და ამორტიზირებული ტრანსპორტი პროფესიული სასწავლებლების არარსებობა სამედიცინო კადრების ნაკლებობა (ვიწრო სპეციალისტების ექიმების დეფიციტი) თანამედროვე დანადგარ-მოწყობილობების ნაკლებობა. დიაგნოსტიკური ცენტრის არარსებობა.
<p>შესაძლებლობები</p>	<p>საფრთხეები</p>
<ul style="list-style-type: none"> ჯანდაცვის პროგრამების მიმართვა პრევენციაზე, მოსახლეობის სწავლება-ტრენინგი, მათი ცნობიერების ამაღლება პროექტების განხორციელება, რომლებიც 	<ul style="list-style-type: none"> სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ფასების მატება ბუნებრივი კატაკლიზმები

<p>ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებს გაუადვილებს საზოგადოებაში ინტეგრირებასა და დასაქმებას</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის დონეზე მაღალი ტექნოლოგიების წყლის და ჰაერის ლაბორატორიების შექმნა, წყლისა და ჰაერის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი • სამედიცინო კადრების გადამზადება და პროფესიული განვითარება • პრევენციული ჯანდაცვის განვითარება 	
---	--

განათლება, კულტურა და სპორტი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • მაღალპროფესიული აკადემიური გუნდი, კაპელა, ფოლკლორული და ქორეოგრაფიული კოლექტივები; • თანამედროვე დონის ისტორიული მუზეუმი სურათების გალერეით. • კულტურული ინფრასტრუქტურის არსებობა მუნიციპალიტეტში. 	<ul style="list-style-type: none"> • კვალიფიციურ პედაგოგთა დეფიციტი; • პროფესიული სასწავლებლების არარსებობა; • კულტურისა და სპორტის მიმართულებით მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • მუსიკალური ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის დეფიციტი; • თანამედროვე ლიტერატურის დეფიციტი; • პროფესიონალი მრწვთნელ-სპეციალისტების დეფიციტი.
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • განათლების სისტემის ადაპტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; • პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; • ადამიანური რესურსების პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა. 	<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი კატაკლიზმები; • ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი.

გარემოსა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირება

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
-----------------	----------------

<ul style="list-style-type: none"> • ხელსაყრელი გარემო (კლიმატი, ნიადაგი, წყალი) • ტყის რესურსი • მუნიციპალიტეტის მდიდარი ბიომრავალფეროვნება • სხვადასხვა სასარგებლო წიარისეულის დიდი მარაგი • 	<ul style="list-style-type: none"> • გაზრდილი მეწყრული მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფები, წყალდიდობა) • სოფლად საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობების არარსებობა • ნარჩენების მართვის სისტემის არარსებობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. • სოფლად სტიქიური ნაგავსაყრელების არსებობა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ცალკეული სახის სტიქიურ მოვლენებზე პრევენციული ზომების გატარება • მდინარეების ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება, კალაპოტის გაწმენდა და ახალი სავარგულების ათვისება ბარის ზონაში. 	<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი სტიქიები • მიკროკლიმატის ცვლილება • ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიული პროცესების გააქტიურება • ტერიტორიის დაბინძურების მაღალი დონე

9. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია

ა) მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ხედვა

ცაგერის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი პრიორიტეტების წინამდებარედო კუმენტის ფარგლებში განვითარების ხედვა წარმოადგენს იმ გრძელვადიან მისწრაფებებსა და მიზნებს,

რომლის მიღწევაც მოხდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის ანსტრატეგიის, ასევე, სხვადასხვა ბრივის ტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების,

მუნიციპალური თუ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების,

სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგად. ცხადია,

მხოლოდ წინამდებარე მუნიციპალური პრიორიტეტების დოკუმენტის განხორციელება არიქნებ ასაკმარისი იმისათვის, რომ მივაღწიოთ ხედვაში დაფიქსირებულ სასურველ ვითარებას. თუმცა,

ამ დოკუმენტში დასახულის საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ სასურველი მომარეობის დადგომას,

რასაც ცაგერის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ითვალისწინებს.

ხედვის, როგორც ყოველის მომცველი,

საბოლოო მიზნის მიღწევა და უცილებელია მუნიციპალიტეტის სოციალურ–

ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის,

აკადემიური წრეებისა და დონორების ჩართვა, რომელთა ინიციატივები,

პროექტები და პროგრამები თავისი წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებ

ასადაც ხოვრების ხარისხის ამაღლებაში. წინამდებარე ხედვა 20 წლიან პერიოდს მოიცავს.

მუნიციპალიტეტის ხედვა

ცაგერის მუნიციპალიტეტი ეკონომიკურად სტაბილური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია, სადაც უზრუნველყოფილია არსებული ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წიაღისეულის, მიწისა და წყლის რესურსების ეფექტიანი დამდგრადი გამოყენება.

მუნიციპალიტეტში არსებობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში ინოვაციური კომპონენტები, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, გამართული თანამედროვე ტურისტული მომსახურების ობიექტები და საინფორმაციო ცენტრები.

ცაგერის მუნიციპალიტეტში ადამიანთა ჯანმრთელობასა და ეკოსისტემებზე შესაძლო ზიანისა და ეკონომიკური ზარალის რისკები მინიმუმამდე შემცირებულია.

ბ) ცაგერის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია

ცაგერის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია აკონკრეტებს თვითმმართველი ერთეული სსამოქმედო პრიორიტეტებს მომდევნო რამდენიმე წლისათვის.

ქვემოთ მოცემული მისიაში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი შედეგების ერთობლიობა, რომელთა მიღწევაზეც თვითმმართველი ორგანო პასუხისმგებლობას იღებს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის რაჭა-ლეჩუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულია, რომლის მისია არის ხელი შეუწყოს:

- საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას;
- მუნიციპალიტეტის მდგრად სოციო-ეკონომიკურ განვითარებას;
- მოსახლეობის დასაქმებას;
- მეწარმეობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას;
- მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის სრულად გამოყენებას;
- მოსახლეობის უზრუნველყოფას ეფექტური სოციალური მომსახურებით;
- მომავალი თაობებისათვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას.

წინამდებარე მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი მჭიდრო თანამშრომლობას წარმართავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნეს სექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა შეიმუშავოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებები.

10. მუნიციპალიტეტის საშუალო ვადიანი პრიორიტეტები

პრიორიტეტების დოკუმენტის წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია შემდგომი 4 წლის განმავლობაში ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პრიორიტეტული მიზნები და ამოცანები, ღონისძიებები და მათი შესაბამისი შედეგები.

პრიორიტეტი N 1 - ეკონომიკა

პრიორიტეტი 1.1 მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობების შექმნა- განვითარება • გადამამუშავებელი ობიექტების გახსნა და დამუშავება
<p>შედეგი:</p> <p>გაიზრდება ეკონომიკური მაჩვენებლები, გაუმჯობესდება მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა</p>

პრიორიტეტი 1.2 სოფლის მეურნეობის განვითარება
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიწის საკადასტრო მონაცემების განახლება კატეგორიზაცია • მევენახეობის მიკრო ზონების სავენახე ფართობების იდენტიფიცირება და სერტიფიცირება • პოტენციური აგრარული დარგების სრული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ფერმერული გაერთიანებებისა და სასოფლო კოოპერატივების მეშვეობით • ნაპირსამაგრი ღონისძიებების სრულად განხორციელება, • ვეტერინალური მომსახურეობის სერვის ცენტრების შექმნა • ფერმერთა ცოდნის დონის სისტემატური ამაღლება • ნიადაგის ნაყოფიერების მენეჯმენტის სისტემის შექმნა
<p>შედეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> • განახლებული საკადასტრო მონაცემები უზრუნველყოფს ფართობების ოპტიმალურად გამოყენებას • სრულად არის დატვირთული მიკროზონები არსებული უნიკალური სავენახე ფართობები, სერტიფიცირებული ღვინომასალა მოთხოვნადია ბაზარზე • წარმოებული აგრარული პროდუქცია გადამამუშავდება საბოლოო სახით და რეალიზდება უკვე სასაქონლო სახით • მიწის ნაყოფიერების ამაღლებით და სრულფასოვანი მცირე მექანიზაციის ხელმისაწვდომობის შედეგად გაზრდილია მოსავლიანობა • სრულადაა ათვისებული სახნავი ფართობები • გაზრდილია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რაოდენობა და ამაღლებულია მისი ხარისხი

პრიორიტეტი N 2 - ინფრასტრუქტურა

პრიორიტეტი 2.1 ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება
<p>ღონისძიებები:</p> <p>ადმინისტრაციული შენობების განახლება და აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით-მოწყობილობებით.</p> <p>მუნიციპალიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის შექმნა</p>
<p>ღონისძიებები:</p> <p>ადმინისტრაციული შენობების განახლება და აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით-მოწყობილობებით.</p> <p>მუნიციპალიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის შექმნა</p>

პრიორიტეტი 2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებათა გაუმჯობესება
<p>ღონისძიებები:</p> <p><i>სოფ. ქულბაქიდან თვითდინების წყალსადენის მშენებლობა, რომელიც მოემსახურება ქ.ცაგერისა და მუნიციპალიტეტის 16 სოფლის მოსახლეობას</i></p>
<p>შედეგები:</p> <p><i>ქ.ცაგერისა და 16 სოფლის წყალმომარაგების მდგომარეობის გაუმჯობესება</i></p> <p><i>ქ. ცაგერისა და სოფ. ქვ.ცაგერის ქუჩები დაცულია მოსალოდნელი სტიქიური მოვლენებისაგან</i></p> <p><i>კულტურულ-სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება-ხელმისაწვდომობა</i></p> <p><i>გაზრდილია მუნიციპალური ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა.</i></p> <p><i>მუნიციპალიტეტის სოფლებში: ნაკურალეშში, ალპანაშში, ლასურიაშში, დეხვირშში, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით გამოცხადებულია ტენდერი საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციის შექმნაზე.</i></p>
პრიორიტეტი 2.3. საბაზისო ინფრასტრუქტურის სამუშაოების ჩატარება და მშენებლობის

განვითარება
<p>ღონისძიებები:</p> <p>ქალაქ ცაგერში მდებარე კეჭნარის ღელესთან არსებული სკვერის რეაბილიტაცია</p> <p>სოფ.წიფერჩის, ტვიშის, ალპანის, ლასურიაშის, ჩხუტელისა და ლაჯანიაში კაუჩუკის საფარიანი სპორტული ტრენჟორების მოწყობა</p> <p>ქ. ცაგერში ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია</p> <p>ხვამლის მთის ტურისტული გზის რეაბილიტაცია</p> <p>მუნიციპალიტეტის 53 სოფლის საგზაო ინფრასტრუქტურის სარემონტო სამუშაოების ჩატარება</p> <p>ქ. ცაგერის ასათიანის(მარჯვენა), გოლეთიანის, ვაჟა-ფშაველას, სანაპიროს ქუჩების ასფალტირების სამუშაოების ჩატარება</p> <p>ტურისტული მიმზიდველი ადგილების კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება(საირმის სვეტები და ისუნდრის ციხის მისასვლელები).</p> <p>მუნიციპალიტეტის შემოსასვლელების კეთილმოწყობა. ქ. ცაგერში კულტურის ცენტრისა და ცხრა აპრილის მემორიალის რეაბილიტაცია.</p>
<p>შედეგები:</p> <p>გაიზრდება მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა კეთილდღეობა,</p> <p>ხელმისაწვდომი გახდება სხვადასხვა სახის კომუნალური და სამედიცინო მომსახურება</p> <p>კეთილმოწყობილი გახდება ქ. ცაგერის ქუჩები და სკვერები</p> <p>გაადვილდება მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებს შორის კომუნიკაცია</p> <p>გაუმჯობესდება სპორტული ინფრასტრუქტურა</p> <p>ტურისტული პოტენციალის ათვისების ღონისძიებების განხორციელება</p>

პრიორიტეტი 3. ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება
<p>ღონისძიებები:</p> <p>საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლება</p>

<p>ეკონომიურად შეჭირვებულ მოქალაქეთა სოციალური დაცვა. ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ვეტერანთა, მარტოხელა დედების, მძიმე სენით დაავადებულთა ფინანსური დახმარება.</p> <p>დედის ხელფასიის შემოღება ორზე და მეტი შვილის შემთხვევაში.</p> <p>უკიდურესად გაჭირვებული, უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>უმწეოთა სასაბილოების დაფინანსების პროპორციული ზრდა.</p> <p>უმწეოთა სასაბილოს სარემონტო სამუშაოების ჩატარება.</p>
<p>შედეგი:</p> <p>103 ბენეფიციარი იღებს ყოველდღიურ უფასო ერთჯერად კვებას</p> <p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მიიღებს უფრო კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებასა და ინფორმაციას სამედიცინო სფეროში სხვადასხვა პროგრამების შესახებ.</p> <p>პერსპექტივაში შეიძლება შემცირდეს მოსახლეობის მიგრაცია რეგიონიდან. შეიცვლება დემოგრაფიული სიტუაცია უარყოფითიდან დადებითისაკენ.</p> <p>გარემონტდება ქ. ცაგერში უმწეოთა სასაბილო 130 ბენეფიციარზე.</p>

<p>პრიორიტეტი 4. განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება</p>
<p>ღონისძიებები:</p> <p>მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება;</p> <p>ახალგაზრდობის მასობრივი სპორტული მუშაობის ხელშეწყობა;</p> <p>ტრადიციული სპორტის სახეობების განვითარება; (ჭადრაკი, ფრენბურთი, კალათბურთი ფეხბურთი</p> <p>ქალაქ ცაგერში მრავალპროფილიანი სპორტული დარბაზის მშენებლობის დასრულება;</p> <p>ტვიში ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა;</p> <p>მუნიციპალიტეტისათვის არატრადიციული სპორტის სახეობების (ცურვა, ალპინიზმი, რაგბი და სხვა) განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნა.</p>

<p>ქალაქ ცაგერის ისტორიულ მუზეუმში არსებული ექსპონანტების სრულად განთავსება;</p> <p>ქ. ცაგერის კულტურის სახლის რეაბილიტაციის სამუშაოები.</p> <p>ლაჯანის საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულება.</p>
<p>შედეგები:</p> <p>გაზრდილია სპორტში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა</p> <p>გაუმჯობესებულია სპორტული ინფრასტრუქტურა</p> <p>გაზრდილია ცაგერის მუზეუმის და მთლიანად ლეჩხუმის ცნობადობა.</p> <p>მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ადგილობრივი ისე შემოსული ვიზიტორების რაოდენობა ისტორიულ მუზეუმში.</p> <p>შექმნილია დამაკმაყოფილებელი პირობები ისტორიული მემკვიდრეობის დაცვისათვის.</p> <p>დაცულია ისტორიული მემკვიდრეობა.</p> <p>სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება ქ.ცაგერის №2 საბავშვო ბაღს. შესაბამისად, ბაღში არსებული მდგომარეობა გაუმჯობესებულია.</p>

<p>პრიორიტეტი 5. გარემოს დაცვითი საქმიანობის გაუმჯობესება</p>
<p>ღონისძიებები:</p> <p>ეროზირებული ფერდობების აღდგენა ახალი ტყე-ნარგავის განაშენიანებისათვის.</p> <p>მეწყერისა და წყალდიდობისაგან დასაცავი ღონისძიებების გატარება</p> <p>თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელების მოწყობა.</p>
<p>შედეგი:</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა დაცულია სტიქიური მოვლენებისაგან</p>

დანართები

დანართი N 1. მუნიციპალიტეტის დასახლებები

ცაგერის მუნიციპალიტეტი აერთიანებს შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებს:

- ქ. ცაგერი;
- ადმინისტრაციული ერთეული ტვიში: სოფ.ტვიში, სოფ.ლახევა,სოფ.ქორენიში,სოფ.ორხვი;
- ადმინისტრაციული ერთეული ალპანა: სოფ.ალპანა, სოფ.ზოგიში. სოფ.ცაგერა, სოფ.აჭარა;
- ადმინისტრაციული ერთეული ლაილაში: სოფ.ლაილაში, სოფ.თაბორი, სოფ.სურმუში, სოფ.ღუ;
- ადმინისტრაციული ერთეული ღვირიში: სოფ.ზედა ღვირიში,სოფ. ქვ.ღვირიში, სოფ.უცხერი, სოფ.ნასპერი, სოფ.სანორჩი;
- ადმინისტრაციული ერთეული ნაკურალეში: სოფელი ნაკურალეში, სოფ. ცხუკუშერი;
- ადმინისტრაციული ერთეული უსახელო: სოფელი უსახელო, სოფელი ხოჯი;
- ადმინისტრაციული ერთეული ორბელი: სოფელი ორბელი,სოფ. კურცობი,სოფ. ლაჯანა,სოფ. გაგულეჩი,სოფ.წილამიერი;
- ადმინისტრაციული ერთეული სპათაგორი: სოფელი სპათაგორი, სოფ. ლემკედა, სოფ. ლაცორია;
- ადმინისტრაციული ერთეული საირმე: სოფელი ზედა საირმე, ქედა საირმე;
- ადმინისტრაციული ერთეული ჩხუტელი: სოფელი ჩხუტელი,სოფელი ლასხანა,სოფელი დოდურეში;
- ადმინისტრაციული ერთეული ქვ.ცაგერი: სოფელი ქვ.ცაგერი,სოფელი ჭალისტავი,სოფელი გვესო;
- ადმინისტრაციული ერთეული ლასურიაში: სოფელი ლასურიაში,სოფელი მახაში,სოფელი დეხვირი,სოფელი ლესინდი;
- ადმინისტრაციული ერთეული აღვი: სოფელი ზედა აღვი,ქვ.აღვი,სოფელი შუა აღვი,სოფელი კენაში
- ადმინისტრაციული ერთეული ოყურეში: სოფელი ოყურეში,სოფელი ოფიტარა;
- ადმინისტრაციული ერთეული ზუბი: სოფელი ზუბი, სოფელი მახურა, სოფელი ისუნდერი;
- ადმინისტრაციული ერთეული წიფერჩი: სოფელი წიფერჩი,სოფელი ბარდნალა,სოფელი ლარჩვალი;
- ადმინისტრაციული ერთეული ჩქუმი: სოფელი ჩქუმი,სოფელი ქულბაქი;
- ადმინისტრაციული ერთეული ლუხვანო: სოფელი ზედა ლუხვანო,სოფელი ქვ.ლუხვანო, სოფელი ზარაგულა

დანართი N 2. მოსახლეობის სქესობრივი ჭრილი 2016-2018წლების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	წელი	კაცი	ქალი
ცაგერი	2016	5070	5317
ცაგერი	2017	5253	5055
ცაგერი	2018	5210	5030

მუნიციპალიტეტი	წელი	სოფლის მეურნეობა	მშენებლობა	ვაჭრობა	მომსახურება	მრეწველობა	საბიუჯეტო ორგანიზაციები	დასაქმებული
ცაგერი	2018წ	3000	450	350	380	100	1850	6130

დანართი N 3. ცაგერის მუნიციპალიტეტში პენსიონერთა რაოდენობა დასახლებების მიხედვით, 2018 წელი

N	დასახლება	რაოდენობა
1	აღპანა	160
2	საირმე	99
3	აღვი	96
4	ზუბი	176
5	ლაილაში	189
6	ლასურიაში	221
7	ლუხვანო	94
8	ნაკურალეში	40
9	ორბელი	560
10	ოყურეში	156
11	ტვიში	181

12	უსახელო	103
13	ქ.ცაგერი	374
14	ღვირიში	229
15	ჩხუტელი	150
16	წიფერჩი	184
17	ჩქუმი	54
18	ქ.ცაგერი	479
19	სპათაგორი	106
	ჯამი	3653

დანართN4ცაგერის მუნიციპალიტეტში მოსწავლეთა რაოდენობა სკოლის კლასების მიხედვით, 2018 წელი

N	სკოლის დასახელება	მოსწავლეთა რაოდენობა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1	ქ.ცაგერის საჯარო სკოლა	182	18	11	17	11	14	9	17	18	18	17	19	17
2	საირმის საჯარო სკოლა	2	0	0	0	1	0	1	0	0	0	0	0	0
3	უსახელოს საჯარო სკოლა	3	0	0	0	1	1	0	0	1	0	0	0	0
4	თაბორის საჯარო სკოლა	4	0	0	0	1	0	1	0	2	0	0	0	0
5	ორხვის საჯარო სკოლა	7	1	0	0	1	2	2	1	1	0	0	0	0

6	ჩქუმის საჯარო სკოლა	12	3	1	0	0	3	1	3	0	1	0	0	0
7	ლუხვანოს საჯარო სკოლა	11	2	1	1	2	2	1	0	0	2	0	0	0
8	მახაშის საჯარო სკოლა	15	3	1	2	2	3	1	1	1	1	0	0	0
9	ისუნდრის საჯარო სკოლა	13	0	4	1	1	1	1	1	2	2	0	0	0
10	ნასპერის საჯარო სკოლა	13	1	1	2	1	1	2	1	3	1	0	0	0
11	დებვირის საჯარო სკოლა	17	2	2	1	3	2	3	1	1	2	0	0	0
12	აღვის საჯარო სკოლა	23	1	4	1	4	3	5	2	2	1	0	0	0
13	ტვიშის საჯარო სკოლა	31	2	1	0	0	2	3	1	4	1	5	6	6
14	ლასურიაშის საჯარო სკოლა	22	1	4	2	1	1	1	2	2	0	2	3	3
15	ღვირიშის საჯარო სკოლა	29	1	1	2	2	1	2	2	3	4	3	1	1
16	ლაილაშის საჯარო სკოლა	38	2	3	2	4	3	5	3	4	1	5	3	3
17	ოყურემის საჯარო სკოლა	37	1	3	3	3	0	4	3	6	3	7	2	2

18	ლაცორის საჯარო სკოლა	38	3	2	2	3	1	4	4	3	3	4	4	5
19	ჩხუტელის საჯარო სკოლა	48	6	3	5	1	4	2	3	1	6	4	5	8
20	ალპანის საჯარო სკოლა	37	2	3	6	0	4	2	6	5	2	0	9	4
21	ზუმბის საჯარო სკოლა	48	3	5	2	6	1	3	2	2	3	4	8	9
22	ლაჯანის საჯარო სკოლა	39	6	3	5	1	4	2	3	1	6	4	11	11
23	ბარდნალის საჯარო სკოლა	67	7	2	2	4	2	3	4	4	7	4	14	13
24	ორბელის საჯარო სკოლა	56	4	5	3	7	8	3	4	5	5	4	5	6
25	ქვ.ცაგერის საჯარო სკოლა	95	4	5	5	3	2	9	8	8	7	15	14	15
26	გიმნაზია	78	12	4	5	6	9	10	11	3	2	5	6	5
	ჯამი	993	82	67	64	68	72	85	86	86	78	86	111	108

დანართი N 5. სკოლამდელი დაწესებულებები, 2018 წელი

	სკოლამდელი დაწესებულების დასახელება	აღსაზრდელო რაოდენობა
1	N 1 ს/ბაღი	83
2	N 2 ს/ბაღი	54
3	წიფერჩის ს/ბ	28
4	ორბელის ს/ბ	22
5	ქვ.ცაგერის ს/ბ	18
6	ზუბის ს/ბ	22
7	ალპანის ს/ბ	12
8	ლაილაშის ს/ბ	4
9	ჩხუტელის ს/ბ	6
10	მახაშის ს/ბ	9
11	ოყურემის ს/ბ	11
12	ლაჯანის ს/ბ	17
13	დებვირის ს/ბ	5
14	ლასურიამის ს/ბ	1
15	ქულბაქი	1
16	ტვიში	9
	ჯამი	302

დანართი N 6. ბიუჯეტის ანალიზი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტმა ადგილობრივი შემოსავლების, გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების ცვლილების ჩათვლით 8186,5 ათასი ლარი შეადგინა.

მათ შორის: გადასახადების სახით მობილიზებულია 69,9 ათასი ლარი, აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის; გრანტების სახით მიღებულია 7894,9 ათასი ლარი, მათ შორის: სხვა დონის სახელმწიფოთა ერთეულებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 3455,1 ათას ლარს;

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 209,5 ათასი ლარი.

დასახელება	2015 წელი (ათასი ლარი)			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	8207,5	8174,3	-33,2	87,4
გადასახადები	70,0	69,9	-0,1	99,9
გრანტები	7937,0	7894,9	-42,1	99,5
სხვა შემოსავლები	199,5	209,5	10,0	105,0

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან 2015 წელს მობილიზებული იქნა 12,2 ათასი ლარი, მათ შორის: მიწის გაყიდვიდან - 12,2 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 0,1 პროცენტს შეადგენს.

2015 წელს ცაგერის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 1469,9 ათასი ლარი;
- თავდაცვა - 48,5 ათასი ლარი
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 182,2 ათასი ლარი
- ეკონომიკური საქმიანობა – 3472,0 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა – 275,1 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 827,0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა – 102,1 ათასი ლარი;
- დასვენება და კულტურა – 1857,0 ათასი ლარი;
- განათლება – 913,8 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა – 351,4 ათასი ლარი.

2015 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი - ცაგერის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 9577,2 ათ.ლარი. ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 9577,2 ათასი ლარი.

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 1476,3 ათ.ლარი;
2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 231,3 ათ.ლარი;
3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 4579,9 ათ.ლარი;
4. განათლება - 941,7 ათ.ლარი;
5. კულტურა, რელიგია, სპორტული და სპორტული ღონისძიებები - 1890,1 ათ.ლარი;
6. მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცვადასოციალური უზრუნველყოფა 457,9 ათ.ლარი.

2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტმა ადგილობრივი შემოსავლების, გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების ცვლილების ჩათვლით 810041.4 ათასი ლარი შეადგინა.

მათ შორის: გადასახადების სახით მობილიზებულია 490.3 ათასი ლარი, აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის; გრანტების სახით მიღებულია 9324.4 ათასი ლარი, მათ შორის: სხვა დონის სახელმწიფოთა ერთეულებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 4853.5 ათას ლარს;

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 166.8 ათასი ლარი.

დასახელება	2015 წელი (ათასი ლარი)			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	9990.7	9981.6	-9.1	99.9
გადასახადები	480.4	490.3	-9.9	102.1
გრანტები	9361.2	9324.4	-36.8	99,6
სხვა შემოსავლები	149.1	166.9	17.8	111.9

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან 2016 წელს მობილიზებული იქნა 59.8 ათასი ლარი, მათ შორის: მიწის გაყიდვიდან - 32.5 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 0,5 პროცენტს შეადგენს.

2016 წელს ცაგერის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 1760.6 ათასი ლარი;
- თავდაცვა - 56.8 ათასი ლარი

- საზოგადოებრივი წესრიგი დაუსაფრთხოება - 0.0 ათასი ლარი
- ეკონომიკური საქმიანობა – 3614.6 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა – 31.3 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა –800.8ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა – 98.2 ათასი ლარი;
- დასვენება და კულტურა – 1368.3 ათასი ლარი;
- განათლება – 658.1 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა – 355.3 ათასი ლარი.

2016 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი - ცაგერის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 8754.3ათ.ლარი.ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 5042.6 ათასი ლარი.

1.წარმომადგენლობითიდააღმასრულებელიორგანოები - 1770.8ათ.ლარი;
2.თავდაცვა, საზოგადოებრივიწესრიგიდაუსაფრთხოება - 56.8ათ.ლარი;
3.ინფრასტრუქტურისშენიშვნა, რეაბილიტაციადაექსპლოატაცია - 4446.8ათ.ლარი;
4.განათლება - 658.1ათ.ლარი;
5.კულტურა, რელიგიაახალგაზრდულიდასპორტულიღონისძიებები - 1368.3ათ.ლარი;
6.მოსახლეობისჯანმრთელობისდაცვადასოციალურიუზრუნველყოფა 453.4თ.ლარი.

2017 წლის ბიუჯეტის ანალიზი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტმა ადგილობრივი შემოსავლების, გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების ცვლილების ჩათვლით 8648.2ათასი ლარი შეადგინა.

მათ შორის: გადასახადების სახით დაგეგმილია 520.0 ათასი ლარის მიღება, აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი ქონების გადასახადზე და საშემოსავლო გადასახადზე მოდის.

გრანტების სახით დაგეგმილია 7747.1 ათასი ლარის მიღება, მათ შორის: სხვა დონის სახელმწიფოთა ერთეულებიდან მისაღები გრანტები შეადგენს 3512.8 ათას ლარს.

სხვა შემოსავლების სახით დაგეგმილია 275.5 ათასი ლარი.

შემოსავლები	8542.5	5558.3	-2984.2	65.1
-------------	--------	--------	---------	------

გადასახადები	520.0	375.4	-144.6	72.2
გრანტები	7747.1	4910.5	-2836.6	63.4
სხვა შემოსავლები	275.5	274.4	-1.1	99.6

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან 2017 წელს დაგეგმილი იქნა 105.7ათასი ლარი, 2017 წელს ცაგერის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 1933.8ათასი ლარი;
- თავდაცვა - 72.0ათასი ლარი
- ეკონომიკური საქმიანობა –5360.9 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა – 57.5 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 898.1ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა – 88.3 ათასი ლარი;
- დასვენება და კულტურა – 1084.0 ათასი ლარი;
- განათლება – 632.2 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა – 297.0 ათასი ლარი.

2017წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 10 632.3 ათასი ლარი.ხარჯების ნაწილმა - 4837.9ათ^მ ლარი. მათ შორის:

1.წარმომადგენლობითიდაადმსარულეებელიორგანოები - 1985.7ათ.ლარი;
2.თავდაცვა, საზოგადოებრივიწესრიგიდაუსაფრთხოება - 72.0ათ.ლარი;
3.ინფრასტრუქტურისმშენებლობა, რეაბილიტაციადაექსპლოატაცია - 6422,1ათ.ლარი;
4.განათლება - 632,1ათ.ლარი;
5.კულტურა, რელიგიაახალგაზრდულიდასპორტულიღონისძიებები - 1126,3ათ.ლარი;
6.მოსახლეობისჯანმრთელობის დაცვადასოციალურიუზრუნველყოფა 393,9ათ.ლარი.

შემოსულობები წლების მიხედვით

წლები	ათასი ლარი
2014	7897.9
2015	8186.6
2016	10041,4

2017	8648,2
------	--------

ბიუჯეტი 2015-2016-2017 წლები

წლები	თანხა ათასი ლარი
2014	7052,3
2015	9577,1
2016	8754,3
2017	10632,3

ფინანსური მაჩვენებლები პრიორიტეტების მიხედვით

დასახელება	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
პრიორიტეტი 1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1966,2	1781,3	1816,9	1853,2
პრიორიტეტი 2 თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	72,0	57,9	59,6	60,7
პრიორიტეტი 3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6316,5	820,9	837,3	854,0
პრიორიტეტი 4. განათლება	632,2	666,6	679,9	693,4
პრიორიტეტი 5. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1084,0	1230,3	1254,9	1279,9
პრიორიტეტი 6. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	385,5	419,4	427,7	436,2
სულ ჯამი	10456,3	4976,4	5076,3	5177,4

